



ეროვნული უმცირესობები და მედიის  
მდგომარეობა საქართველოში

ტობიას აკერლუნდი

ECMI -ის სამუშაო მოხსენება #52

იანვარი 2012



უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) არის არაკომერციული, არასამთავრობო ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნებულ იქნა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მთავრობების მიერ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი დაარსდა ქ. ფლენსბუგში, გერმანიისა და დანიის მოსაზღვრე რეგიონის შუა გულში; რათა ყურადღება მიექცრო ამ ტერიტორიაზე არსებულ უმცირესობებისა და უმრავლესობის მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმატებულ მაგალითზე.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს მრავალდისციპლინარულ კვლევას იმ საკითხებზე, რომელიც ეხება უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობებს, ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. ამასთანავე, წვლილი შეიტანოს ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის იმ ნაწილში, სადაც ადგილი აქვს ეთნო-კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

ECMI-ის კვლევით ნაშრომზე მუშაობენ ECMI-ს თანამშრომლები და ცენტრის მიერ მოწვეული მკვლევარები. ECMI-ის მიერ გამოცემულ კვლევებში გამოსატულ აზრებზე პასუხისმგებელია ნაშრომის ავტორი.

### ECMI მოხსენება

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)

დირექტორი: დოქ. ტოვე ჰ. მალოი

© ECMI 2012



# ეროვნული უმცირესობები და მედიის მდგომარეობა საქართველოში

მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებაში უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ერთი მხრივ, უმცირესობების წარმატებით ინტეგრაციის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მეორე მხრივ, მედიის მიერ მათი ცხოვრების ასახვა საშუალებას აძლევს ფართო საზოგადოებას, გარკვეული შეხედულება ჩამოუყალიბდეს მათზე. უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფები და პრაქტიკოსი სპეციალისტები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საქართველოს მედიასა და უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს. წინამდებარე სამუშაო მოხსენებაში მოცემულია საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისა და მედიის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი, რათა წარმოდგენილი იქნეს უმცირესობებისათვის ხელმისაწვდომი მედიისა და უმცირესობა-უმრავლესობის ურთიერთობებზე მედიის ზეგავლენის სრულყოფილი სურათი. ამ საკითხზე მონაცემების შეგროვების მიზნით 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის აპრილამდე როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, შედგა 30 ინტერვიუ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა წარმომადგენლებთან.

ტობიას აკერლუნდი, იანვარი 2012  
ECMI -ის სამუშაო მოხსენება #54

## I. შესავალი

ბოლო წლებში საქართველოში ადგილი ჰქონდა პოზიტიური მოვლენების განვითარებას როგორც სამოქმედო კურსთან, ისე მედიისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში. კანონი მაუწყებლობის შესახებ უკვე ავალდებულებს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, გააშუქოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები და მათი მოთხოვნები, ამასთან, გადასცეს პროგრამები უმცირესობათა

ენებზე.<sup>1</sup> საქართველოში უმცირესობათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2009 წელს მიღებული იქნა „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“, რომლის დებულებები მიზნად ისახავს მედიასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამოსწორებას. მიუხედავად ამგვარი პოზიტიური მოვლენებისა, ინფორმაციის ნაკლებ მისაწვდომობა კვლავაც დაბრკოლებად რჩება ფართო საზოგადოებაში ინტეგრაციის გზაზე. საქართველოში მცხოვრები

<sup>1</sup> საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 16, ხელმისაწვდომია: [http://www.gncc.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=7050&info\\_id=3380](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=7050&info_id=3380).



უმცირესობებისთვის მთავარი საინფორმაციო საშუალებები მიუწვდომელია, იმის გამო, რომ ისინი არ ავრცელებენ ხარისხიან ინფორმაციას მათთვის გასაგებ ენებზე. მიუხედავად მცდელობისა, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდეს მაუწყებლობა უმცირესობათა ენებზე, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კომპაქტურად მცხოვრები უმცირესობებისათვის კვლავაც მიუწვდომელია ეროვნული/ქართული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. როგორც სომხები, ისე აზერბაიჯანელები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა ყველაზე დიდ ჯგუფებს წარმოადგენენ საქართველოში, სარგებლობენ მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებით. შედეგად, ეროვნულ უმცირესობათა ის ჯგუფები, რომლებიც უმეტესად უმრავლესობას წარმოადგენენ იმ რეგიონებში სადაც ცხოვრობენ, მოკლებულნი არიან ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე. ნაწილობრივ ამის მიზეზია ქართული ენის ცუდად ცოდნა ეროვნული უმცირესობების მიერ, ამასთან, სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორები აფერხებს ზოგადად მედიის განვითარებას, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ ნაკლოვანების აღმოფხვრას. ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაციის მიღება ტელევიზიითაც შეზღუდულია დაბალი ხარისხის მაუწყებლობის გამო, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიური ხარვეზებით.

უმცირესობებისათვის ინფორმაციის მიწოდების გარდა, საინფორმაციო საშუალებები ასევე გარკვეულ როლს თამაშობს უმრავლესობის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში უმცირესობათა მიმართ; აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ იქნება გაშუქებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებების მიერ უმცირესობების ცხოვრება და მათთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, ზოგადად საქართველოს მედიის ენდემური პრობლემები კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ მდგომარეობას. მაგალითად, ჟურნალისტების დაბალი პროფესიონალიზმის შედეგად ადგილი აქვს დისკრიმინაციას, თუნდაც მაშინ, როდესაც დანაშაულის ადგილიდან რეპორტაჟში ხას უსვამენ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის ეთნიკურ

წარმომავლობას. სამწუხაროდ, საქართველოს მედიის მხრიდან, თითქმის, არ ჰქონია ადგილი იმ უმცირესობათა ნდობის მოპოვების მცდელობას, რომლებიც სეპარატისტებად იყვნენ მოხსენიებულნი მათ რეპორტაჟებში. გარდა იმისა, რომ არ ხდება არსებული კანონების გამოყენება მედიაში დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, უმცირესობები ჯერ კიდევ აწყდებიან წინააღმდეგობებს ქართული საზოგადოების ნაწილად გახდომის გზაზე.

**II. მედიის ზოგადი სურათი საქართველოში**

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ გამჩნდა რამდენიმე ახალი გაზეთი და სატელევიზიო არხი. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მედია არ გადაიქცა თავისუფალ და მიუკერძოებელ ერთეულად. ამის ნაცვლად, სატელევიზიო არხები და გაზეთები, რომლებიც მხარს უჭერდნენ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, ეწეოდნენ ნაციონალისტურ პროპაგანდას და ახორციელებდნენ მწვავე შეტევებს ოპოზიციის წარმომადგენლებზე. ახალი ხელმძღვანელობა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავდა მის ერთგულ მხარდამჭერებს სახელმწიფო ტელევიზიაში, ხოლო ოპოზიციური პუბლიკაციების წინააღმდეგ სასტიკ ზომებს იღებდა.<sup>2</sup> 1992 წლის დასასრულს, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, პრეზიდენტ შევარდნაძის პერიოდში გაჩნდა დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები, თუმცა 1994 წლამდე პარტიულ პუბლიკაციებზე შეზღუდვები არ იქნა მოხსნილი. ნელ-ნელა ამ უპრეცედენტო თავისუფლებას, რომლითაც ქართული მედია სარგებლობდა, ფარდა ჩამოეფარა. შევარდნაძის მთავრობას აღარ სიამოვნებდა ის მოჭარბებული ინფორმაცია, სადაც

<sup>2</sup> თოფურია გიორგი; „მედია და სამოქალაქო კონფლიქტები საქართველოში“ „რეგიონული მედია კონფლიქტში“, IWPR, 2001, 15-22, <http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/C097ED71A0C840CAC1256C14003778BA-iwpr-media-30jun.pdf>.



აღწერილი იყო ქვეყანაში არსებული ქაოსური სიტუაცია და ოფიციალურ დონეზე არსებული კანონდარღვევები. ამიტომ 90-იანი წლების შუა პერიოდში მთავრობას ორჯერ ჰქონდა მცდელობა, დაეხურა ახლად ჩამოყალიბებული ტელევიზია *რუსთავი 2*<sup>3</sup> ახალმა ათასწლეულმა მოიტანა ახლი თავდასხმები ჟურნალისტებზე. ადგილი ჰქონდა ტელეწამყვანის მკვლელობასაც კი. მიუხედავად მკაცრი შეზღუდვებისა, მედიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ მოვლენების განვითარებაში, რომლებსაც 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მოჰყვა. ეროვნული მედიის მიერ არჩევნების პროცესში დარღვევების გაშუქება იყო ის ძირითადი ფაქტორი, რომელსაც მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები, რამაც საბოლოოდ დაამარცხა შევარდნაძის მთავრობა.<sup>4</sup>

„ვარდების რევოლუციისა“ და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დაიწყო საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ლიბერალიზაციის ერთიანი პროცესი. თუმცა რვა წლის შემდეგ მედიის თავისუფლება კვლავაც რჩება პოლიტიკური დებატების და მთავრობასა და ოპოზიციას შორის მწვავე ბრძოლის მიზეზად. ამასთან, 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომის და იმ ნაციონალისტური პროპაგანდის შემდეგ, რაც ამ ომს მოჰყვა, მედიასთან დაკავშირებით სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა.<sup>5</sup> სამხრეთ კავკასიასა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებულ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და უკრაინის გამოკლებით, საქართველოში მედია უფრო თავისუფალი და განვითარებულია. აშშ-ში დაფუძნებული მაკონტროლებელი

ორგანიზაცია Freedom House ქართულ მედიას აფასებს როგორც „ნახევრად თავისუფალს“, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ზოგიერთი სატელევიზიო არხი იმყოფება მთავრობის კონტროლის ქვეშ, ხოლო, ზოგიერთი არხის მფლობელობის საკითხი არ არის გამჭვირვალე. გარდა ამისა, თავისუფალი მედიის მიერ გადმოცემული ინფორმაცია განიცდის სხვადასხვა სახის ზეწოლას მთავრობის მხრიდან. მფლობელობასა და სარედაქციო თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ერთად, Freedom House ასახელებს ჟურნალისტების დაბალ პროფესიონალიზმს ნაკლოვანებად, რომელიც ქართულმა მედიამ უნდა გამოასწოროს.<sup>6</sup>

სამი ძირითადი სატელევიზიო არხი, *რუსთავი 2* და *იმედი*, ასევე, საზოგადოებრივი ტელევიზიის *პირველი არხი*, რომელთა მაუწყებლობაც მთელ ქვეყანაში ვრცელდება, კერძო მფლობელობაშია. ამავე დროს, *პირველი არხი* არის სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებული „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ნაწილი, ხოლო *რუსთავი 2*-ს და *იმედს* უცხოეთში რეგისტრირებული კომპანიები აკონტროლებენ ისეთი სქემით, რომელიც ბუნდოვანს ხდის მათი მფლობელის ვინაობას და ბადებს ეჭვს ამაში მთავრობის შესაძლო მონაწილეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო საშუალებების ოფშორული კომპანიების მფლობელობაში გადაცემის თავიდან აცილების მიზნით 2011 წლის აპრილში მიღებულ იქნა ახალი კანონი. კანონი ძალაში შევა 2012 წლის იანვარში.<sup>7</sup> 2009 წლის ანგარიშში ანტიკორუფციულმა არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობამ (TI) მიუთითა სახელმწიფო არხების პასიურობაზე მთავრობის საწინააღმდეგო კრიტიკული გადაცემების ეთერში გაშვებასთან დაკავშირებით, აგრეთვე

<sup>3</sup> ბოკერია გიგა, გივი თარგამაძე და ლევან რამიშვილი; „90-იანი წლების ქართული მედია: ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“, 1997, ხელმისაწვდომია: <http://www.liberty.ge/eng/files/Georgian%20Media%20in%20the%2090s.pdf>.

<sup>4</sup> მიქაშაიძე მია; „მედიის ლანდშაფტი: საქართველო“, ჟურნალისტთა ევროპული ცენტრი, 2010, ხელმისაწვდომია: [http://www.ejc.net/media\\_landscape/article/georgia/#15](http://www.ejc.net/media_landscape/article/georgia/#15).

<sup>5</sup> ახვლედიანი მარინა; „საბედისწერო შეცდომა: მედია და რუსების შემოსევა საქართველოში“, „პატარა ომები და აჯანყებები“, ივნისი 2009, 387.

<sup>6</sup> აფრასიძე დავითი; „თავისუფლების სახლის ანგარიში საქართველოზე“, 2010, 222, ხელმისაწვდომია: <http://www.freedomhouse.org/images/File/nit/2010/NIT-2010-Georgia-proof-II.pdf>.

<sup>7</sup> იხ. მაგალითად, „სამაუწყებლო საშუალებების საკუთრების გამჭვირვალობის შესახებ კანონი მიღებულია“, *Civil.ge*, 8 აპრილი, 2011, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=23324>.



იმ ფაქტზე, რომ ერთად აღებული, ისინი ფლობენ ურბანული ბაზრის 70%-ს.<sup>8</sup> ხოლო, სატელევიზიო არხები *მაესტრო* და *კავკასია*, რომლებიც საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) 2010 წლის „მედიის მდგრადი განვითარების მაჩვენებელში“ მოხსენიებულია მთავარ ოპოზიციურად განწყობილ არხებად<sup>9</sup> - მხოლოდ 6.7%-ს. 2010 წლის დასაწყისში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რეორგანიზაცია გაუკეთა თავის *მეორე არხს*, რომლის მოდელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური არხის C-SPAN-ის მიხედვით. *მეორე არხი* პირდაპირი ეთერით გადმოსცემს პარლამენტის სხდომებს. ასევე, ახალი ფორმატის ფარგლებში - გარდა გარანტირებული პრაიმ-თაიმისა, რომელიც თვეში ერთხელ ეთმობა თითოეულ ოპოზიციურ პარტიას - ხდება მიტინგებისა და სხვა პოლიტიკური მოვლენების გაშუქება.<sup>10</sup> ამჟამად *მეორე არხი* უმთავრესად მაუწყებლობს მხოლოდ დიდ ქალაქებში და მას უყურებს მოსახლეობის 60%.<sup>11</sup> ამგვარად, დაბალანსებული ინფორმაციის მოპოვება შეზღუდული რჩება და საქართველოს მოსახლეობა იძულებულია თავად ეძიოს აქტიურად მედიის პოლარიზაციის მიზეზები, ახსნა-განმარტება გაუკეთოს მათ და შეძლოს საკუთარი დასკვნების გამოტანა.

რაც შეეხება მედიის თავისუფლებას, უნდა აღინიშნოს განსხვავება ტელევიზიისა და საგაზეთო პუბლიკაციებს შორის. ინტერვიუში ზოგიერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ტელევიზიის პოპულარობა გაცილებით

მაღალია, რის გამოც ტელევიზია უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ არის. მეორე მხრივ, ჩვეულებრივ, გაზეთებს შეუძლიათ უფრო თავისუფლად ფუნქციონირება მოსახლეობაზე შედარებით ნაკლები ზეგავლენის გამო, რისთვისაც ოპოზიციის უპირატესობას ბეჭდურ მედიას ანიჭებს. ასევე, ბეჭდურ მედიაში ყველაზე პოპულარულია სენსაციური გათვლილი ჟურნალიზმი.<sup>12</sup> დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ემატება დაფინანსების წყაროს მოპოვების სირთულე. იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო გამოცემები სამთავრობო გრანტებს არ იღებენ, მათ აფინანსებენ საერთაშორისო დონორები, განსაკუთრებით, იმის გამო, რომ მეტად შეზღუდული სარეკლამო ბაზარი არ იძლევა ფინანსურად დამოუკიდებელი მედიის განვითარების საშუალებას. ამასთან, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) და სხვა ორგანიზაციები აცხადებენ, რომ მთავრობა ზეწოლას ახდენს იმ კომპანიებზე, რომლებიც რეკლამას უკეთებენ იმ პუბლიკაციებსა თუ სატელევიზიო არხებს, რომელთა მიმართაც მთავრობა არ არის კარგად განწყობილი.<sup>13</sup>

იმ კვლევის მიხედვით, რომელიც ამერიკულმა ორგანიზაციამ ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDA) 2011 წელს ჩაატარა, მოსახლეობის 89% ინფორმაციის პირველად წყაროდ მიიჩნევს ტელევიზიას, ხოლო 4% ინტერნეტს. ახალი ამბების გაცნობის ყველაზე პოპულარული მეორადი წყაროა გაზეთები და ჟურნალები, რომლებსაც მეორად არჩევანში მოსახლეობის 24% ასახელებს.<sup>14</sup> ქართველებისთვის პრესა, მიუხედავად პუბლიკაციების დიდი რაოდენობისა, მცირე როლს თამაშობს, როგორც ინფორმაციის

<sup>8</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა, „ტელევიზია საქართველოში - მფლობელობა, კონტროლი და რეგულირება“, 2009, 5, <http://transparency.ge/sites/default/files/Media%20Ownership%20November%202009%20Eng.pdf>

<sup>9</sup> ლომსაძე გიორგი; „IREX მედიის მდგრადი განვითარების მაჩვენებელი“ 2010, საქართველო, 147, [http://www.irex.org/system/files/EE\\_MSI\\_2010\\_Georgia.pdf](http://www.irex.org/system/files/EE_MSI_2010_Georgia.pdf).

<sup>10</sup> „13 პარტია შეთანხმდა პოლიტიკური არხის პირობებზე“, Civil.ge <http://www.civil.ge/eng/article.php?id=22009>

<sup>11</sup> „Human Rights Report 2010 Section on Georgia“, U.S. Department of State, April 2011, [http://georgia.usembassy.gov/officialreports/hrr2010\\_georgia.html](http://georgia.usembassy.gov/officialreports/hrr2010_georgia.html).

<sup>12</sup> ლომსაძე გიორგი; „IREX მედიის მდგრადი განვითარების მაჩვენებელი“, 2010, საქართველო, 149, [http://www.irex.org/sites/default/files/EE\\_MSI\\_2011\\_Georgia.pdf](http://www.irex.org/sites/default/files/EE_MSI_2011_Georgia.pdf).

<sup>13</sup> ლომსაძე გიორგი; „IREX მედიის მდგრადი განვითარების მაჩვენებელი“, 2010, საქართველო, 150, [http://www.irex.org/system/files/EE\\_MSI\\_2010\\_Georgia.pdf](http://www.irex.org/system/files/EE_MSI_2010_Georgia.pdf).

<sup>14</sup> Navarro, Luis; Ian T. Woodward; NDI, „Public Attitudes in Georgia“, <http://www.ndi.org/files/Georgia-Survey-Results-0411.pdf>.



პირველადი წყარო (2% ზემოაღნიშნული კვლევის თანახმად). თბილისის ყოველდღიური გამოცემების საშუალო ტირაჟი 4000 - 5000 ეგზემპლარია მაშინ, როცა ყოველკვირეული ჟურნალების ტირაჟი 25 000-დან 30 000-მდე მერყეობს.<sup>15</sup> ბევრი საინფორმაციო საშუალება აქვეყნებს დაბალი ხარისხის პუბლიკაციებს. ხშირად ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, რომლებიც ერთ რომელიმე ჟურნალისტს მიაჩნია უმნიშვნელოვანესად, მაგალითად, პრეზიდენტის ვიზიტი, რომელშიც ნაკლებად იგრძნობა ღრმა აზრი ან არ არის კრიტიკული კომენტარები. გარდა, ზოგადად საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებით შექმნილი იმ სიტუაციებისა, რომელიც ზემოთ არის აღწერილი, ამან გამოიწვია მედიისადმი ნდობის თანდათან შესუსტება 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ.

### III. საერთაშორისო კანონმდებლობა მედიასთან და უმცირესობებთან დაკავშირებით

საქართველო წევრია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების უდიდესი ნაწილისა, რომლებითაც ადამიანს აქვს მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმის უფლება. ასევე, ის წევრია „ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციისა“ (FCNM), რომელიც შეიცავს დებულებებს მედიასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა 2005 წელს. კერძოდ, ხელშეკრულების მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ:

მხარეები წაახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა.

გარდა ამისა, მე-9 მუხლში უფრო დეტალურადაა განხილული მედიასთან დაკავშირებული საკითხები:

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად, მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ.

2. I პუნქტი არ შეუშლის ხელს მხარეებს დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოითხოვონ ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

3. მხარეები ხელს არ შეუშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში და I პუნქტის გათვალისწინებით, ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მინიჭებული ჰქონდეთ მათი მასმედიის საშუალებების შექმნისა და გამოყენების უფლება.

4. მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, მხარეები მიიღებენ შესაბამის ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და ხელი შეუწყონ ტოლერანტობას და დაამკვიდრონ კულტურული პლურალიზმი.

საქართველო მუდმივად ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, წარუდგინოს ანგარიში FCNM-ის საკონსულტაციო კომიტეტს. როგორც მე-9 მუხლის, მე-4 პუნქტიდან ჩანს, კონვენცია ითხოვს არა მხოლოდ სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, არამედ სახელმწიფოს მიერ აქტიური ზომების გატარებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობებისათვის მედიის ხელმისაწვდომობას. ეს ზომები განხილულია

<sup>15</sup> მიქაშავიძე მაია; „მედიის ლანდშაფტი: საქართველო“, ჟურნალისტთა ევროპული ცენტრი, 2010, ხელმისაწვდომია: [http://www.ejc.net/media\\_landscape/article/georgia/#13](http://www.ejc.net/media_landscape/article/georgia/#13)



FCNM-ის საკონსულტაციო კომიტეტის მიერ 2009 წლის მარტში მიღებულ დოკუმენტში „დასკვნა საქართველოზე“, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.<sup>16</sup>

საქართველო ჯერ კიდევ არ შეერთებია ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ (ECRML), რომელიც ყურადღებას ამახვილებს ლინგვისტურ უმცირესობებზე და, ამასთან, შეიცავს დებულებებს მედიასთან დაკავშირებით. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ვალდებულებას მას შედეგ, რაც ის ევროპის საბჭოს წევრი გახდა. თუმცა ამ პროცესს ართულებს ფართოდ გავრცელებული აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ უმცირესობათა ენებისათვის სპეციალური სტატუსის მინიჭება საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ენას. ასევე ხელისშემშლელია აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულ უმცირესობებს პოტენციურად შეუძლიათ ხელი შეუშალონ საქართველოს ერთიანობას. აღნიშნული ქარტია ავალდებულებს სახელმწიფოებს გამოიყენონ ე.წ. ნაწილი II, „მიზნები და პრინციპები“, მათ საზღვრებში არსებულ ყველა უმცირესობათა ენების მიმართ, რათა დაიცვან ეს ენები და ამით შეინარჩუნონ ლინგვისტური მრავალფეროვნება. რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის (ECRML) III ნაწილში მოცემულია უფრო კონკრეტული დებულებები, რომელთაგან სახელმწიფოები ირჩევენ მინიმალურ რაოდენობას ეროვნული უმცირესობების უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფების ენებთან მიმართებაში გამოსაყენებლად. თეორიულად, საქართველოს შეუძლია იხელმძღვანელოს აღნიშნული ქარტიის (ECRML) მე-11 მუხლის მსოლოდ ერთი პუნქტით ან ქვეპუნქტით, რომელიც მედიას შეეხება.<sup>17</sup>

გარდა ამისა, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა (HCNM) 2003 წელს გამოაქვეყნა სახელმძღვანელო

პრინციპები, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული უმცირესობათა ენები რადიო და ტელემაუწყებლობაში. ეს დოკუმენტი არის ნაწილი ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის (HCNM) მთელი რიგი იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც შეიქმნა ეროვნული უმცირესობების სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლებასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს განმარტების მიზნით და ის სახელმწიფოები, რომლებსაც საქმე აქვთ ეროვნულ უმცირესობებთან, მას იყენებენ, როგორც ცნობარს. კერძოდ, ამ რეკომენდაციების მიზანს წარმოადგენს შეამსუბუქოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული დაძაბულობა და ამგვარად ხელი შეუწყოს ეუთოს<sup>18</sup> მიერ კონფლიქტების პრევენციის როლის შესრულებას.

უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) 2009 წლის ანგარიშში,<sup>19</sup> აღნიშნულია, რომ საქართველოს გეგმები მედიასთან და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით უკვე შესაბამისობაში იყო ქარტიის მე-11 მუხლის ცხრა პუნქტიდან ექვსთან. ამ გეგმებში გარკვევით არის გამოხატული სურვილი იმისა, რომ ეროვნული უმცირესობებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია და უმცირესობათა ენები გამოყენებული იქნეს რადიო და ტელეგადამცემებში, რასაც ადასტურებს 2009 წელს ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიღება, რომელსაც თან სამოქმედო გეგმა ახლავს (სამოქმედო გეგმა განხილულია ქვემოთ). ანგარიშში დაისვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, გაამართლებდა თუ არა საქართველოს ხელისუფლება იმედებს გეგმების განხორციელებასა და რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით.

<sup>16</sup> იხ. ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტის „დასკვნა საქართველოზე“, 19 მარტი, 2009

<sup>17</sup> იხ. <http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/148.htm>.

<sup>18</sup> იხ. [http://www.osce.org/hcnm/item\\_11\\_31598.html](http://www.osce.org/hcnm/item_11_31598.html).

<sup>19</sup> Wheatley, Jonathan; *Georgia and the European Charter for Regional or Minority Languages*, ECMI Working Paper #42, June 2009, [http://www.ecmiceucasus.org/upload/publications/working\\_paper\\_42\\_en.pdf](http://www.ecmiceucasus.org/upload/publications/working_paper_42_en.pdf).





#### IV. ეროვნული უმცირესობები და მედიის ამჟამინდელი მდგომარეობა

ფართოდ არის აღიარებული, რომ მედიასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. სიტყვით გამოსვლისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლება გარანტირებულია კონსტიტუციით, რომელიც ასევე კრძალავს ცენზურას (მუხლები 19 და 24).<sup>20</sup> ვარდების რევოლუციის შემდეგ მიღებული კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ არის ძირითადი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ჟურნალისტური საქმიანობის თავისუფლებას.<sup>21</sup> 2004 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ არეგულირებს რადიო და ტელევიზიულ სექტორს, განსაზღვრავს წესებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ლიცენზიის სხვა მფლობელთათვის, ადგენს საქართველოს სახელმწიფო კომუნიკაციების კომიტეტის უფლებამოსილებათა სფეროს, ასევე ლიცენზიების გაცემის წესებს. ამ კანონის მუხლი 56 ავალდებულებს ლიცენზიის მფლობელებს, „თავი აარიდონ“ დისკრიმინაციული ან შეურაცხყოფელი პროგრამების გადაცემას; ან, უფრო ზუსტად, ისეთი მასალის გადაცემას ეთერით, რომელსაც შეუძლია „ეთნიკური... შუღლის“ „პროვოცირება“ ან „გაღვივება“.<sup>22</sup>

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი შედგება სამი სატელევიზიო არხისგან (*პირველი არხი*, *მეორე არხი* და *პირველი კავკასიური*) და ორი რადიოსადგურისგან (*რადიო ერთი* და *რადიო ორი*). 2008 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს

უფლება მიეცა, რეგულარულად გადაეცა პოლიტიკური „თოკ-შოუები“ და პროგრამებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტიდან გამოეყო 25% უმცირესობათა ენებზე და სეპარატისტულ რეგიონებზე პროგრამების მოსამზადებლად.<sup>23</sup> თუმცა, ეს უკანასკნელი შესწორება არ აღმოჩნდა ეფექტური და 2009 წელს ის გააუქმეს.<sup>24</sup> 2009 წელს, პოლიტიკური ოპოზიციის დემონსტრაციების შემდეგ, რომელიც ბრალს დებდა მთავრობას იმაში, რომ ის *დე ფაქტო* აკონტროლებდა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, საბჭოს წევრთა რაოდენობა 15-მდე გაიზარდა. ამჟამად საბჭოს შემადგენლობაში შესაძლებელია იყოს სულ მცირე ხუთი ოპოზიციის წარმომადგენელი. საზოგადოების მოთხოვნით, საბჭოს წევრია სამი არაპარტიული პირი, რომლებიც ცდილობენ აპოლიტიკური გახადონ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. როგორც ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს შესახებ თავის მოხსენებაში, ჯერ კიდევ უშედეგოა საბჭოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა შეყვანის მცდელობა.<sup>25</sup> 2011 წლისთვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოში ჯერ კიდევ არ არიან უმცირესობათა წარმომადგენლები. გარდა ამისა, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს რწმუნებულთა საბჭო, რვა საზოგადოებრივი საბჭო ან სამოქალაქო საბჭო, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნებს. ერთ-ერთი ასეთი საზოგადოებრივი საბჭო საზოგადოებრივ მაუწყებელში არის ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, რომელიც მოწვეული იქნა 2006 წლიდან და აერთიანებს ეროვნულ უმცირესობათა ათ ორგანიზაციას. მიუხედავად ამისა, ის საბჭოები, რომლებიც აწარმოებენ პროგრამების მონიტორინგს და კონსულტაციებს უწევენ საზოგადოებრივი

<sup>20</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 5-7: [http://www.parliament.ge/files/68\\_1944\\_951190\\_CONSTIT\\_27\\_12.06.pdf](http://www.parliament.ge/files/68_1944_951190_CONSTIT_27_12.06.pdf).

<sup>21</sup> მიქაშავიძე მაია; „მედიის ლანდშაფტი: საქართველო“, ჟურნალისტთა ევროპული ცენტრი, 2010, ხელმისაწვდომია: [http://www.ejc.net/media\\_landscape/article/georgia/#3](http://www.ejc.net/media_landscape/article/georgia/#3)

<sup>22</sup> საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 21 [http://www.gncc.ge/files/7050\\_3380\\_492233\\_mauwyeblo\\_ba-eng.pdf](http://www.gncc.ge/files/7050_3380_492233_mauwyeblo_ba-eng.pdf).

<sup>23</sup> Wheatley, 2009, 31-32.

<sup>24</sup> ინტერვიუ ზურაბ დვალთან, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ გადაცემების განყოფილების მთავარი პროდიუსერი, 31 მაისი, 2011.

<sup>25</sup> ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტი, დასკვნა საქართველოზე, 19 მარტი, 2009, 29.



მაუწყებლის საბჭოს, შექმნისთანავე გარიყული იქნენ საქმიანობიდან. ეს სიტუაცია ამ წელიწადში შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს არაპარტიული წევრების მხრიდან აქტიური მხარდაჭერის საფუძველზე აღნიშნული საბჭოების როლის გააქტიურების მიზნით. კანდიდატების შერჩევა დასრულდა 2011 წლის 1 ივლისს და მიუხედავად იმისა, რომ შედეგი ჯერ კიდევ არ არის სახეზე, საქმიანობის სწორი მართვის შემთხვევაში, ეს იქნება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი.

2006 წელს საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მიიღო მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომლის დაცვაც მისი თითოეული თანამშრომლისათვის სავალდებულოა. კოდექსი განსაზღვრავს ძირითად პროფესიულ სტანდარტებს და ჟურნალისტურ ეთიკას. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავის პროგრამებში მონაწილეობა უნდა მიაღებინოს უმცირესობათა ყველა წარმომადგენელს. . . რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, [და] მიზნად ისახავს ამომწურავად და სამართლიანად ასახოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ცხოვრება და მათი კულტურა, პატივი სცეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებას და თავისი წვლილი შეიტანოს მათ განვითარებაში“.<sup>26</sup> თუმცა, მაინც გაურკვეველი რჩება, ის ერთეული, რომელსაც ევალება საზოგადოებრივ მაუწყებელში კოდექსის განხორციელებაზე მონიტორინგი, უზრუნველყოფს თუ არა ის პრაქტიკულად მის გამოყენებას.<sup>27</sup> და მაინც, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთია, რომელიც მაყურებელს ახალ ამბებს უმცირესობათა ენებზე სთავაზობს.

უწყება, რომელსაც ევალება ელექტრონული მედიის გამოცემებზე ზედამხედველობა, არის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. ის შედგება პარლამენტის მიერ არჩეული ხუთი წევრისაგან. აგრეთვე, მის შემადგენლობაშია საპარლამენტო ოპოზიციის მიერ დასახელებული ერთი წარმომადგენელი.<sup>28</sup> კომისიას თავს ესხმოდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უჩიოდნენ სხვადასხვა ოპერაციებისა და სალიცენზიო პროცედურების გამჭვირვალობის ნაკლებობას. მას ბრალად ედება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და იმ კომპანიების შეღწევის შეზღუდვა საინფორმაციო საშუალებების ბაზარზე, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი მთავრობის მიმართ ან მიჩნეულნი არიან ამგვარად.<sup>29</sup> ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის აზრით, ლიცენზიის ასაღებად საჭირო მოთხოვნები არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. კერძოდ, კომიტეტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნა, კომპანიამ დაადასტუროს საკუთარი უნარი იმასთან დაკავშირებით, რომ 10 წლის განმავლობაში შეძლებს აწარმოოს მაუწყებლობა, წარმოადგენს „სერიოზულ დაბრკოლებას“.<sup>30</sup> ზოგიერთი საინფორმაციო პროგრამის ეთერში გაშვება ხდებოდა ლიცენზიის გარეშე და რადგან ამგვარ ფაქტებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი, ვარდების რევოლუციის შემდეგ ბევრმა დონორმა შეიკავა თავი ლიცენზიის გარეშე მედიის დაფინანსებაზე. ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირება სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობას დამოკიდებულს ხდის მთავრობაზე, რომელსაც აქვს იურიდიული

<sup>26</sup> საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ქცევის კოდექსი, 49-53, ხელმისაწვდომია: [http://www.gpb.ge/uploads/documents/bdd67a1a-00c4-46c4-a95c-d6fa064cf56fGPB\\_Code\\_of\\_Conduct\\_eng.pdf](http://www.gpb.ge/uploads/documents/bdd67a1a-00c4-46c4-a95c-d6fa064cf56fGPB_Code_of_Conduct_eng.pdf).  
<sup>27</sup> ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტი, დასკვნა საქართველოზე, 19 მარტი, 2009, 82, [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3\\_FCNM\\_docs/PDF\\_1st\\_OP\\_Georgia\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNM_docs/PDF_1st_OP_Georgia_en.pdf).

<sup>28</sup> აფრასიძე დავითი; „თავისუფლების სახლის ანგარიში საქართველოზე“, 2010, ხელმისაწვდომია: <http://www.freedomhouse.org/images/File/nit/2010/NIT-2010-Georgia-proof-II.pdf>.  
<sup>29</sup> ლომსაძე გიორგი; „IREX მედიის მდგრადი განვითარების მანვენებელი“, 2010, საქართველო, 143, [http://www.irex.org/system/files/EE\\_MSI\\_2010\\_Georgia.pdf](http://www.irex.org/system/files/EE_MSI_2010_Georgia.pdf).  
<sup>30</sup> იხ. ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტი, დასკვნა საქართველოზე, 19 მარტი, 2009, თ.107 [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3\\_FCNM\\_docs/PDF\\_1st\\_OP\\_Georgia\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNM_docs/PDF_1st_OP_Georgia_en.pdf).



უფლება, ამის გამო დახუროს სატელევიზიო ან რადიო სადგური, თუ ის არ გაყვება ანგარიშგების შერჩეულ ხაზს. 2008 წელს ამგვარი პრობლემის წინაშე დადგა ორი რადიოსადგური - ერთი ნინოწმინდაში და ერთიც მარნეულში. აღნიშნული რადიოსადგურები დაარსდა 2006 წელს, თუმცა არასდროს მიუღიათ მაუწყებლობისათვის საჭირო სიხშირეები, რის გამოც ისინი დაიხურა. ჟურნალისტ ზვიად ქორიძის განმარტებით, რომელიც ამ პროექტში მონაწილეობდა, მთავრობა შიშობს, რომ ამგვარ დამოუკიდებელ მედიას შეუძლია გაავრცელოს სეპარატისტული გეგმები რეგიონებში, ან დაუთმოს დიდი დრო ადგილობრივი პრობლემების თემას.<sup>31</sup>

კომისიას წლების მანძილზე არ გაუცია ახალი ლიცენზიები, რადგან მიიჩნევა, რომ საჭიროა, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდეს გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ პროგრამებს ამჯობინებს ხალხი, რის შედეგადაც გაირკვევა, თუ რა სახის არხებს საჭიროებს საქართველოს მედია-სივრცე. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებულია, ორ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს ამგვარი გამოკითხვა და მიღებული შედეგების საფუძველზე გასცეს ახალი ლიცენზიები.<sup>32</sup> იმ კომპანიასთან კონფლიქტის გამო, რომელთანაც დადებული იყო ხელშეკრულება გამოკითხვის ჩატარების თაობაზე, 2004 წლის შემდეგ პირველად 2011 წლის აპრილში გამოქვეყნდა ახალი შედეგები,<sup>33</sup> რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გასართობ პროგრამებს ანიჭებდა უპირატესობას და არა ახალ ამბებს. ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობამ შენიშნა პრობლემები კვლევის ჩასატარებლად გამოცხადებული ტენდერის პროცესში ისევე, როგორც იმ

კომპანიის კავშირი მთავრობასთან, რომელიც კვლევას ატარებდა და მოუწოდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (GNCC), მხარი დაეჭირა მრავალფეროვნებისათვის ლიცენზიების გაცემის დროს.<sup>34</sup> თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რა ფორმით იქნა გაცემული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ პროგრამული ლიცენზიები (მხოლოდ ზოგადი ან გასართობი პროგრამებისათვის), კვლევის შედეგები საშუალებას აძლევს კომისიას ეფექტურად შეზღუდოს იმ ახალი ერთეულების რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ ახალი ამბების ეთერში გაშვების ოფიციალური უფლება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ უმცირესობათა პოტენციურად დამოუკიდებელი სამაუწყებლო ერთეულების შექმნას დიდი მომავალი არა აქვს.

2009 წლის მარტში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო ქცევის კოდექსი, რომლის შესრულებაც სავალდებულო იყო საქართველოში მოქმედი ყველა მაუწყებლისათვის. აღნიშნული კოდექსი, რომელიც თითქმის ანალოგიურია საზოგადოებრივი მაუწყებლის კოდექსისა, შეიცავს დებულებებს სიძულვილისა და არატოლერანტობის გავრცელების წინააღმდეგ (მუხლი 31); ითხოვს მაუწყებლობებისგან, „გადასცენ ზუსტი, სანდო, გაწონასწორებული, პროპორციული ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფს“; (მუხლი 32); ასევე, შეიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული პარალელების გავლება უარყოფით მოვლენებსა და უმცირესობებს შორის და სტერეოტიპების გავრცელება (მუხლი 33).<sup>35</sup> მიუხედავად მკაცრი მოთხოვნისა, ბევრი საინფორმაციო

<sup>31</sup> ინტერვიუ ზვიად ქორიძესთან, დამოუკიდებელი ჟურნალისტი, 18 მარტი, 2011

<sup>32</sup> საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 4, გვ. 4, [http://www.gncc.ge/files/7050\\_3380\\_492233\\_mauwyeblo ba-eng.pdf](http://www.gncc.ge/files/7050_3380_492233_mauwyeblo ba-eng.pdf).

<sup>33</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, „ყოველწლიური ანგარიში 2009“, 59-60, [http://www.gncc.ge/files/3100\\_3389\\_682251\\_Annual\\_Report\\_2009-eng.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_3389_682251_Annual_Report_2009-eng.pdf).

<sup>34</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, ქართველებს არ სურთ ახალი ამბები, არც საზოგადოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია - უპირატესობას ანიჭებენ გასართობ პროგრამებს“, 21 აპრილი, 2001 წელი, <http://www.transparency.ge/en/blog/pgncc-decides-georgians-dont-want-news-or-community-information-prefer-entertainment>.

<sup>35</sup> მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 15-16, [http://www.gncc.ge/files/7200\\_7176\\_124355\\_Codex88504\\_1\\_ENG.pdf](http://www.gncc.ge/files/7200_7176_124355_Codex88504_1_ENG.pdf).



გამოშვება ყურადღებას არ აქცევს კოდექსის თვითმარეგულირებელ ხასიათს და არ ასრულებს მას. მაგალითად, საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონში გადმოცემულია და ქცევის კოდექსში გამეორებულია, რომ ლიცენზიის მფლობელნი ვალდებული არიან შექმნან თვით-რეგულირებადი სტრუქტურა, რაც არ სრულდება, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ამაზე არ რეაგირებს.<sup>36</sup>

2009 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და მომდევნო ხუთი წლის (2009-2014) განმავლობაში სხვადასხვა რეგიონებში განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა. აღნიშნული კონცეფციის პროექტზე მუშაობისას მიმდინარეობდა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან კონსულტაციები და ამ პროცესის სახელმძღვანელოდ გამოყენებული იყო ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციაში (FCNM) ჩამოყალიბებული დებულებები. შედეგად მიღებულ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო პრიორიტეტები და განსაზღვრულია ყველა ეროვნული უმცირესობის ინტეგრაციისათვის საჭირო პრაქტიკული ზომები, ხოლო მთავარ მიზანს წარმოადგენს „დემოკრატიული და ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც ეფუძნება საერთო ღირებულებებს, საზოგადოების მრავალფეროვნებას მიიჩნევს ძლიერების წყაროდ და თითოეულ მოქალაქეს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა“.<sup>37</sup> ყურადღება გამახვილებულია ექვს სფეროზე: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია

და მოქალაქეთა მონაწილეობა; სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია; ასევე, კულტურული ინტეგრაცია და იდენტობის შენარჩუნება. მედიასთან დაკავშირებით დასახულია შემდეგი მიზნები:

- სახელმწიფო მაუწყებლობის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;
- უმცირესობათა ენებზე მომზადებული სატელევიზიო და რადიო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის და მედიის მიერ ამ მონაწილეობის ასახვის უზრუნველყოფა;
- უმცირესობათა ენებზე ელექტრონული და ბეჭდური მედიის ხელშეწყობა;
- ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა მედიაში.

თავდაპირველად გამოითქვა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ პირველად დოკუმენტში ჩამოყალიბებული გეგმები უცვლელი დარჩენილიყო, მაგრამ პროექტის ავტორებმა სწრაფად გაიაზრეს, რომ სამოქმედო გეგმაში ნახსენები საქმიანობები არ იყო საკმარისი და მიიღეს გადაწყვეტილება, ისინი ჩამოყალიბებინათ ყოველწლიურ დეტალურ სამოქმედო გეგმაში. ამგვარად, მიზნები დარჩა იგივე, ამავე დროს, სამოქმედო გეგმამ განიცადა დამატებითი ტრანსფორმაცია, რაც იძლევა ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციების შემდგომი ლობირების შესაძლებლობას, რათა მათ ზეგავლენა მოახდინონ სამოქმედო გეგმის შინაარსზე. გარდა ამისა, ეროვნული კონცეფციის მიღებასთან ერთად, სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით ასევე შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია (SIAC), რომელიც აერთიანებს, ძირითადად, წარმომადგენლებს სამინისტროებიდან და სახელმწიფო უწყებებიდან, ასევე, მთავრობის მაღალჩინოსნებს ქვემო ქართლის, სამცხე-

<sup>36</sup> დანელია ნინო; „ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი მედია ახლად აღმოცენებულ და განვითარებად ბაზრებზე“, WAN-IFRA, 57, [http://www.wan-ifra.org/system/files/field\\_article\\_file/Financial%20Viability%20Report%20WAN-IFRA.pdf](http://www.wan-ifra.org/system/files/field_article_file/Financial%20Viability%20Report%20WAN-IFRA.pdf).

<sup>37</sup> იხ. საქართველოს მთავრობა, *ტოლერანტობისა და ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია* (8 მაისი 2009), [http://www.diversity.ge/files/files/National%20Concept\\_En\\_g\\_ADOPTED.pdf](http://www.diversity.ge/files/files/National%20Concept_En_g_ADOPTED.pdf).



ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებიდან. სამოქმედო გეგმის მედიასთან დაკავშირებული ნაწილი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რომელიც 2004 წლიდან გადასცემს ახალ ამბებს უმცირესობათა ენებზე. სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის 2010 წლის ანგარიშში ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის დასრულების შესახებ, აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გასულ წელს 463 213 ლარი დახარჯა უმცირესობებთან დაკავშირებული პროგრამების მომზადებაზე.<sup>38</sup>

თუ განვიხილავთ სამოქმედო გეგმის პირველ მიზანს, რომელიც გულისხმობს „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფარვის სისტემის რეაბილიტაციას“, დავინახავთ, თუ რა დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო შორეულ რეგიონებში საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციონირება. ეს ღონისძიება მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM), საკონსულტაციო კომიტეტის კომენტარები. მიუხედავად ამისა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლების ინფორმაციით საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები ყველგან ჯერ კიდევ არ ვრცელდება. აფხაზეთში სიგნალი აღწევს მხოლოდ გაღს, ხოლო სამხრეთ ოსეთში გორიდან გადაცემული სიგნალი მხოლოდ ალაგ-ალაგ კვეთს ადმინისტრაციულ საზღვარს. სიგნალი დასმულია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. რაც შეეხება საქართველოს მიერ კონტროლირებად რეგიონებს, ქვემო ქართლში წალკა ერთადერთი რაიონია, სადაც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალები არ ვრცელდება. გასაკებია, რომ ორ სეპარატისტულ რეგიონზე რეალურად არ ვრცელდება რეაბილიტაციის გეგმა, ხოლო მიზეზი იმისა,

თუ რატომ არ დაიხარჯა ფული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წალკაში გავრცელებაზე, იყო სატელევიზიო მაუწყებლობის ციფრულ სისტემაზე გადასვლა. ვინაიდან ფინანსები უკვე შეზღუდულია, ხელმძღვანელობა არ ჩქარობს, ჩადოს ფული ისეთ პროექტში, რომლის განხორციელებით მიღებული შედეგი უკვე მოძველებული იქნება 2015 წლისათვის, როდესაც მაუწყებლობის ციფრულ სისტემაზე გადასვლა დაგეგმილი. გარდა ამისა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აზრით, წალკა, მოსახლეობის ნაირფეროვნების გამო, წარმოადგენს რაიონს, რომელიც ითხოვს რუსულ პროგრამებს, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი უკვე აღარ გადასცემს. ამჟამად წალკაში მაუწყებლობს ტელეარხები *იმედი* და *რუსთავი 2*. მიუხედავად იმისა, რომ ეს არხები არ სთავაზობენ მოსახლეობას პროგრამებს უმცირესობათა ენებზე, საქართველოში დაფუძნებული რუსულენოვანი არხი, *რეგიონული ტელევიზია*, ფულს უხდის ადგილობრივ კონტრაქტორს, რათა მან წალკაში გადასცეს მისი პროგრამები.<sup>39</sup> 2005 წელს *ალანის ტელევიზიის* სახელით დაარსებული ამ არხის მიზანს წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის ინფორმაციის გადაცემა. ამჟამად ის რუსულ ენაზე გადასცემს კინოებს, სატელევიზიო შოუებსა და ახალ ამბებს. მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი კავშირი არა აქვს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან და ოფიციალურად წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, მედიის ანალიტიკოსების აზრით, ამ ტელეარხს მთავრობა მართავს.<sup>40</sup>

სამოქმედო გეგმის მეორე მიზანი, რაც გულისხმობს სამაუწყებლო პროგრამების უმცირესობათა ენებზე გადაცემის უზრუნველყოფას, მეტნაკლებად გამოსწორების გზაზეა. 2009 წლის

<sup>38</sup> “2010 წლის ანგარიში ტოლერანტობისა და ინტეგრაციის შესახებ სახელმწიფო კონცეფციის სამოქმედო გეგმის დასრულების შესახებ”, 15, [http://www.smr.gov.ge/uploads/file/2010\\_Annual\\_Report\\_ENG.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/file/2010_Annual_Report_ENG.pdf).

<sup>39</sup> ინტერვიუ ზურაბ დვალთან, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ გადაცემების განყოფილების მთავარი პროდიუსერი, 31 მაისი, 2011.

<sup>40</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა, „ტელევიზია საქართველოში - მფლობელობა, კონტროლი და რეგულირება“, 2009, 15 <http://transparency.ge/sites/default/files/Media%20Ownership%20November%202009%20Eng.pdf>



ნოემბრამდე უმცირესობათა ენებზე ახალი ამბების გადაცემის ფორმატი წარმოადგენდა ოცდაექვს წუთიან პროგრამას, რომელიც *პირველი არხით* კვირაში ერთხელ ხუთ ენაზე გადაიცემოდა: აფხაზურად, ოსურად, სომხურად, აზერბაიჯანულად და რუსულად. გარდა ამისა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის *პირველი რადიო* გადასცემდა ხუთწუთიან ყოველდღიურ და ოცწუთიან ყოველკვირეულ ახალი ამბების პროგრამას ამ ენებზე, რომელსაც 2009 წელს დაემატა ქურმანჯის (ქურთული) ენა. თუმცა, ახალი ამბების კვირაში ერთხელ გადაცემა ნიშნავდა იმას, რომ ინფორმაცია ყოველთვის არ იყო ახალი. ამასთან, ეს პროგრამები უმთავრესად გადაიცემოდა დღის საათებში მაშინ, როცა პოტენციურ მაყურებელთა დიდი ნაწილი სამსახურში იყო და, შესაბამისად, არ შეეძლო გადაცემის ყურება, რაც განაპირობებდა მაყურებელთა სიმცირეს.

ამგვარად, 2010 წლის მარტში, მაყურებელთა მიზნობრივი ჯგუფის უკეთ მომსახურების მიზნით, გადაცემების ფორმატი შეიცვალა. ამჟამად საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალი ამბების მოკლე, 12 წუთიან გამოშვებას შუადღის 12 საათზე და 4 საათზე გადასცემს პირველ არხზე და თარგმნის მას ოთხ ენაზე: აფხაზურად, სომხურად, აზერბაიჯანულად და ოსურად. იმისათვის, რომ ახალი ამბების მოკლე გამოშვება სადამოს საუკეთესო საეთერო დროს საკუთარ ენაზე გახადოს ხელმისაწვდომი ეროვნული უმცირესობებისათვის, საზოგადოებრივი მაუწყებელი ოთხ ადგილობრივ სატელევიზიო სადგურს გადასცემს ახალი ამბების მოკლე გამოშვებას იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობების ენაზე საუბრობენ: სომხურ ენაზე ახალქალაქსა და ნინოწმინდაში; აფხაზურ ენაზე ზუგდიდში; აზერბაიჯანულ ენაზე მარნეულში; და ოსურ ენაზე გორში. ადგილობრივ მაუწყებლებს ახალი ამბების მოკლე გამოშვება გადაეცემათ ყოველდღიურად სადამოს 9:30-ზე.<sup>41</sup> მიღებული მასალის გადაცემის ფაქტობრივი დროა სადამოს 9:30-დან 11:00-მდე

იმისდა მიხედვით, თუ რა პროგრამები აქვს დაგეგმილი ადგილობრივ მაუწყებელს მოცემული დღისათვის. სადამოს 11:00-დან, ერთი საათის განმავლობაში ახალი ამბების მოკლე ვერსია ოთხივე ენაზე გადაიცემა, ასევე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის *მეორე არხზე*, რაც მეორე დილით მეორდება *პირველ არხზე*. ეს ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ მოამბის მოკლე გამოშვება საუკეთესო საეთერო დროს არ მიეწოდება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონს, ვინაიდან მეორე არხი მაუწყებლობს მხოლოდ დიდ ქალაქებში, თუმცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი 2011 წლისათვის გეგმავს, თუ ბიუჯეტი ამის საშუალებას მისცემს, ადგილობრივი სატელევიზიო სადგურების სიას მიუმატოს ანალოგიური სადგურები ახალციხეში, ბოლნისში, ლაგოდეხში, ხაშურში, ჭიათურასა და ფოთში.

იმისათვის, რომ სატელევიზიო ახალი ამბების პროგრამა უმცირესობათა ენებზე კიდევ უფრო საინტერესო გახდეს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაწყვეტილებით, 2011 წლის 15 აპრილიდან რაიონული ახალი ამბების ყოველდღიურ გამოშვებას დაემატება კიდევ სამი წუთი ეროვნული უმცირესობების ინტერესების სასარგებლოდ. ინფორმაციის გადაცემა ნაწილობრივ მოხდება მთარგმნელთა ათკაციანი გუნდის მიერ, რომელთა უმეტესობა ამავედროულად ჟურნალისტიკა და ამჟამად მუშაობს ახალი ამბების პროგრამის „მოამბის“ თარგმანზე. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აზრით, აღნიშნულ გუნდს გააჩნია კარგი კონტაქტები რეგიონებში და საკმაოდ კარგად იცნობს იქ არსებულ სიტუაციას, რათა სათანადოდ შეძლოს მისი გაშუქება.<sup>42</sup>

გარდა ამისა, *Первый Информационный Кавказский (ПИК; პირველი კავკასიური საინფორმაციო)*, რუსულენოვანი სატელევიზიო არხი, ასევე განიცდის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ზეგავლენას

<sup>41</sup> ეს დრო შერჩეულ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ მომზადებულიყო ხარისხიანი თარგმანი და ჩართული ყოფილიყო საზოგადოებრივი მაუწყებლის ექვსსაათიან გამოშვებაში გადაცემული ნებისმიერი უახლესი ინფორმაცია.

<sup>42</sup> ინტერვიუ ზურაბ დვალთან, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ გადაცემების განყოფილების მთავარი პროდიუსერი, და მალხაზ ვარდოსანიძესთან, დეპარტამენტის რეგიონული პროდიუსერი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 17 მარტი 2011.



და გახლავთ მიზეზი იმისა, თუ რატომ შეწყდა „მოამბის“ რუსულ ენაზე თარგმნა. ეს არხი ყურადღებას ამახვილებს კავკასიის რეგიონზე და მისი მიზნია მიაწოდოს ინფორმაცია რუსულენოვან მაყურებელს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რათა გააწინასწოროს რუსული მედიის ზეგავლენა ქვეყანაში მცხოვრებ არაქართულენოვან მოსახლეობაზე. არხმა მუშაობა დაიწყო 2010 წლის იანვარში, სახელწოდებით, *პირველი კავკასიური*, თუმცა 2011 წლის დასაწყისში მაუწყებლობა შეჩერდა სასამართლო დავის გამო, რომელშიც გარეული იყო საფრანგეთში დაფუძნებული სატელიტური არხი – ეუტელსეტი, რომელმაც სატელევიზიო გადაცემები შეწყვიტა დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, სავარაუდოდ, რუსეთის ზეწოლით.<sup>43</sup> 2011 წლის იანვარში *პირველმა კავკასიურმა* მაუწყებლობა განაახლა და დაიგეგმა ამავე წლისათვის მისთვის 20 მილ. ლარის გამოყოფა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან.<sup>44</sup> მიუხედავად იმისა, რომ არხი ჯერ კიდევ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან ფინანსდება, 2010 წლის ივლისიდან ის ქვე-კონტრაქტორის, კერძო კომპანია შპს K-1-ის მმართველობაშია გადაცემული. აღნიშნულ კომპანიას ხელმძღვანელობს BBC-ის ყოფილი ჟურნალისტი რობერტ პერსონსი. K-1-ის წარმომადგენელთა განარტებით, კომპანია ზედამხედველობას უწევს პროპაგანდისაგან თავისუფალი არხის მუშაობას, რომლის ფუნქციონირებაშიც მთავრობა არ ერევა.<sup>45</sup>

რაც შეეხება რადიოს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ჯერ კიდევ გვთავაზობს ახალი ამბების მოკლე გამოშვებას ექვს ენაზე. საზოგადოებრივი

მაუწყებლის წარმომადგენელთა სიტყვებით,<sup>46</sup> ამჟამად უმცირესობებისთვის განკუთვნილი შემოკლებული ახალი ამბების სატელევიზიო ვერსიის თარგმანი სრულდება იმგვარად, რომ შესაძლებელია მისი აუდიო ვარიანტის რადიოსათვის პირდაპირ გადაცემა. ამგვარად, საღამოს 11:00-ზე ეთერში გადის ერთსაათიანი პროგრამა, რომელიც მეორე დღით მეორდება, ასევე დღის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, ხდება მისი გამეორება; თუმცა სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოში, აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი რადიოს სიგნალი არ ვრცელდება ქვემო ქართლის მთელ ტერიტორიასა და სამცხე-ჯავახეთში.<sup>47</sup>

სამოქმედო გეგმის მესამე მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოს საინფორმაციო საშუალებების მიერ ეროვნული უმცირესობებისათვის ინფორმაციის მიწოდება და მათი მონაწილეობა რადიო და სატელევიზიო პროგრამებში. ყოველკვირეული „თოქ შოუ“, რომლის სახელწოდებაცაა ჩვენი ეზო (ადრე ერქვა იტალიური ეზო), რომელშიც ყურადღება ეთმობა ტოლერანტობასთან, ეროვნულ უმცირესობებთან და კულტურულ ნაირფეროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს, 2007 წლიდან გადაიცემა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის *პირველი არხით*. თავდაპირველად შოუ ფინანსდებოდა საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროგრამის ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში<sup>48</sup> (NITG) ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, ხოლო 2010 წლიდან პროგრამის დაფინანსება ხდება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან. ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ

<sup>43</sup> ლომსაძე გიორგი; „საქართველო: თბილისი ბრალს დებს მოსკოვს ანტი-საბჭოური სატელიტური არხების მაუწყებლობის შეწყვეტაში“, 31 იანვარი, 2010. <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/av020110d.shtml>.

<sup>44</sup> საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი იღებს 20 მილ. ლარს რუსულენოვანი არხისათვის, Civil.ge, <http://civil.ge/eng/article.php?id=23325>.

<sup>45</sup> „საქართველოს რუსულენოვანი არხის მაუწყებლობის განახლება“, Civil.ge, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=23076>.

<sup>46</sup> ინტერვიუ ზურაბ დვალთან და მალხაზ ვარდოსანიძესთან, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 17 მარტი, 2011.

<sup>47</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებები საქართველოში – 2010“, 2011, 329-30, <http://ombudsman.ge/files/downloads/ge/ktifezljkytwmwbpqgc.pdf>.

<sup>48</sup> დამატებითი ინფორმაცია NITG პროექტის შესახებ იხ. ბმულზე: <http://www.una.ge/eng/nitg.php>.



2011 წლისათვის დაგეგმილ პროექტებს შორისაა ჩვენი ეზოს თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რათა მოხდეს მათი გადაცემა რეგიონული ტელევიზიების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეზო წარმოადგენს პოზიტიურ გადაცემას, მედიის ზოგიერთი ექსპერტი მაინც აკრიტიკებს მას და ამბობს, რომ ერთიან ეროვნული უმცირესობები ენახათ ყოველდღიურ პროგრამებში ქართველ მოსახლეობასთან ერთად. ჩვენი ეზო ხელს არ უწყობს უმცირესობების მონაწილეობას ყოველდღიურ პროგრამებში, მას შეუძლია იზოლაციაში მოაქციოს ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფები, დანერგოს შეხედულება სხვა ეთნიკურობის შესახებ და მკვეთრად გამიჯნოს ისინი ქართველი ხალხისგან. სხვა, კიდევ უფრო მეტად კრიტიკული შეხედულება ამ შოუს წინააღმდეგ არის ის, რომ მის ზოგიერთ ნაწილს რეალურად შეუძლია გააძლიეროს გარკვეული სტერეოტიპები ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით. გადმოცემის მიხედვით, შოუში ხაზგასმულია ისეთი თემები როგორებიცაა „ქურთები იცავენ სისუფთავეს თბილისში“, „სომხები არიან დალაქები“, ხოლო „აზერბაიჯანელები – აბანოების მფლობელები“. ამით იქმნება სტერეოტიპები ქურთების, სომხებისა და აზერბაიჯანელების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა მათგანი შესაბამისად არის „მეზობელი“, „დალაქი“ და „აბანოს თანამშრომელი“. ეროვნული კონცეფციის და თუნდაც იმ პროექტის ფარგლებში, რომელშიც ჩვენი ეზო განხორციელდა, ის ეწინააღმდეგება როგორც ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო ხელშეკრულების სულისკვეთებას, ასევე – მაუწყებლობის შესახებ კანონში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო დებულებებს.

სამოქმედო გეგმის მეოთხე მიზანს წარმოადგენს ელექტრონული და ბეჭდური მედიის განვითარების ხელშეწყობა უმცირესობათა ენებზე. ელექტრონული მედიის დახმარების მაგალითები არ გვაქვს, ხოლო ორი გაზეთი უმცირესობათა ენებზე იღებს გრანტებს სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან. ეს გაზეთებია: სომხური გაზეთი *ვრასტანი* და აზერბაიჯანული *გურჯისტანი*. 2010 წელს ამ გაზეთებმა მიიღეს თითოეულმა 45 000 ლარი, საიდანაც 30 000 ლარი გადაიხადა სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის

სამინისტრომ, ხოლო დანარჩენი თანხა გამოყოფილი იქნა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან.<sup>49</sup> რუსულენოვანი გაზეთი *Свободная Грузия*, რომელსაც ადრე სამინისტრო აფინანსებდა, ახლა თვითდაფინანსებაზეა გადასული.<sup>50</sup> სხვა პუბლიკაციები უმცირესობათა ენებზე - ასირიულ, გერმანულ და ბერძნულ ენებზე, მთავრობისგან არანაირ დახმარებას არ იღებს.

მედიის განვითარების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია ინტერნუსის პროექტის, Media.ge-ს მთავარი რედაქტორის, დავით მჭედლიძის აზრით, საეჭვოა, რომ თბილისის გარეთ მცხოვრები უმცირესობებისათვის *გურჯისტანი* და *ვრასტანი* მნიშვნელოვანი იყოს. საბჭოთა კავშირიდან მიღებული მემკვიდრეობისა და პრო-სამთავრობო პოზიციის შენარჩუნების გამო, დედაქალაქის პატარა გამომცემლობებში შექმნილი პუბლიკაციები უმთავრესად გამიზნულია თავიანთი დიდი ხნის ხელმძღვრთა ჯგუფზე - ჯგუფზე, რომლის რაოდენობაც ბოლო წლებში საგრძობლად შემცირდა. რაც შეეხება დისტრიბუციას, *გურჯისტანს* უკეთესი ბრუნვა აქვს მარნეულთან (ქვემო ქართლის რეგიონი) სიახლოვის გამო, ხოლო *ვრასტანის* ნახვა თბილისის ფარგლებს გარეთ უფრო ძნელია.<sup>51</sup> სამოქმედო გეგმის მოთხოვნით, მხარდაჭერა სჭირდება პუბლიკაციების ეროვნული უმცირესობების ენებზე გამოსვლას, ხოლო, როგორც *ვრასტანმა*, ისე *გურჯისტანმა* უნდა დააკმაყოფილონ ენობრივი მოთხოვნები. თუ მხედველობაში მივიღებთ ეროვნული კონცეფციის მიზნებს, მეოთხე მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული საკმინანობები ამ მიზნის განხორციელებას არ ემსახურება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმცირესობათა ის წარმომადგენლები, რომლებიც მედიის

<sup>49</sup> „2010 წლის ანგარიში ტოლერანტობისა და ინტეგრაციის შესახებ ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის დასრულების შესახებ“, 15, [http://www.smr.gov.ge/uploads/file/2010\\_Annual\\_Report\\_ENG.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/file/2010_Annual_Report_ENG.pdf).

<sup>50</sup> საქართველოს გაეროს ასოციაცია, „ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება“, 2010, 65.

<sup>51</sup> ინტერვიუ დავით მჭედლიძესთან, Media.ge-ს მთავარი რედაქტორი, 21 აპრილი, 2011.





საქმიანობაში არიან ჩართულნი, ასევე პესიმისტურად არიან განწყობილნი აღნიშნული პუბლიკაციების მიმართ და ითხოვენ მთავრობის მხარდაჭერას ამ საქმეში.<sup>52</sup>

სამოქმედო გეგმის მეხუთე მიზანს წარმოადგენს მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრება. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უკვე შეასრულა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თავისი საწყისი ვალდებულებები და ეთერში გადასცა მთელი რიგი დოკუმენტური ფილმებისა, საერთო სახელწოდებით მრავალეროვანი საქართველო. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაღებული ცხრა დოკუმენტური ფილმი დააფინანსა საქართველოს გაეროს ასოციაციამ (UNAG), პროგრამის - ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში (NITG), ფარგლებში. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელთა სიტყვებით, აღნიშნული დოკუმენტური მასალის განმეორებით ეთერში გასვლა ხდება გარკვეულ დღესასწაულებთან დაკავშირებით და სხვა სათანადო დროს.<sup>53</sup> დოკუმენტური ფილმების სერიაში ნაჩვენებია საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ცხოვრება და მათი ისტორია, რაც უდაოდ მისასაღებელი დანამატია საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის ჩამონათვალში. თუმცა შეიძლება, გაჩნდეს კითხვა იმასთან დაკავშირებით, საკმარისია თუ არა ხუთი წლის მანძილზე ცხრა დოკუმენტური ფილმის გადაღება და ეროვნულ კონცეფციაში ნახსენები ერთადერთი სიტყვა „მხარდაჭერა“, მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დასამკვიდრებლად. ზოგადად დოკუმენტურ ფილმებს, ისევე როგორც ამ ფილმებს, აკისრია მნიშვნელოვანი ფუნქცია, ამიტომ მათ შექმნაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა, რომლებიც ამავე დროს მონაწილეობას უნდა იღებდნენ

ყოველდღიური პროგრამების შექმნაში. ამით ისინი გახდებიან ქართველი საზოგადოების ნაწილი და მოეხსნებათ მუდმივად სეპარატისტულად განწყობილი ხალხის იმიჯი. სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის (SIAC) 2010 წლის ანგარიშში არ არის ნახსენები ახალი ღონისძიებები გარდა იმისა, რომ შეიქმნა ვებგვერდი ქურთი უმცირესობების შესახებ (იხ. ქვემოთ).

ქართულენოვანი მსმენელისთვის საზოგადოებრივი რადიო-არხით კულტურული ნაირფეროვნების თემაზე ეთერში გადიოდა ყოველკვირეული 20-წუთიანი პროგრამა სახელწოდებით ჩვენი საქართველო, მაგრამ 2010 წლის მარტში ის დაიხურა „რადიოსადგურის რეორგანიზაციის“ მიზნით.<sup>54</sup> თუმცა, ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს დაფინანსებით პროგრამა აღადგინეს და ის ეთერში საზოგადოებრივი რადიოს სიხშირეებზე 2011 წლის ოქტომბრის ჩათვლით გავა.

ეროვნული კონცეფციის მიღებამდე, 2008 წელს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით შეიქმნა ვებ-გვერდი Diversity.ge როგორც აშშ განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული მრავალწლიანი პროექტის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა ზემოხსენებული სატელევიზიო პროგრამა ჩვენი ეზო.<sup>55</sup> ვებ-გვერდი ასრულებს პორტალის ფუნქციას და ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებსა და მნიშვნელოვან თარიღებზე. თუმცა წინამდებარე დოკუმენტის შექმნის დროისათვის ახალი ამბების განყოფილება ოთხი თვის მანძილზე არ იყო განახლებული.<sup>56</sup>

<sup>52</sup> ინტერვიუ ზაურ ხალილოვთან, CNN Media-ს სამუშაო ჯგუფის ექსპერტი, 17 მაისი, 2011.

<sup>53</sup> ინტერვიუ ზურაბ დვალთან, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ გადაცემების განყოფილების მთავარი პროდიუსერი, 31 მაისი, 2011.

<sup>54</sup> საქართველოს გაეროს ასოციაცია, „ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება“, 2010, 64-65.

<sup>55</sup> საკუთრივ Diversity.ge-ზე დაწყების თარიღი აღნიშნული არ არის, მაგრამ საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებ-გვერდზე (<http://www.una.ge/eng/artdetail.php?group=articles&id=122>) ნახსენებია Diversity.ge-ს პრეზენტაცია ახალქალაქში. Diversity.ge-ზე ზოგიერთი საინფორმაციო სიუჟეტი 2007 წლით თარიღდება, თუმცა, ზემოაღნიშნული სტატიის გათვალისწინებით, ამ დოკუმენტში დაწყების ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 2008.

<sup>56</sup> უკანასკნელი ინფორმაცია ინტერნეტ-საიტის ინგლისური ენის განყოფილებაში თარიღდება 2011



სავარაუდოდ, როგორც ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციაზე (FCNM) დაყრდნობით შექმნილ დოკუმენტს, საქართველოს ეროვნულ კონცეფციას ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტმა დაბალი შეფასება მისცა. კომიტეტი ითხოვდა უფრო დეტალურ დოკუმენტს „რომელსაც თანდართული ექნებოდა ადეკვატური რეურსების გამოყოფისა სამართლებრივი დაცვის გარანტიები.“<sup>57</sup> გაურკვეველია, გამოყოფილია თუ არა საკმარისი რესურსები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქმედო გეგმაში დადგენილ საქმიანობათა წარმატებული განხორციელება. უფრო მწვავე პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, არის თუ არა ეს ღონისძიებები საკმარისი იმ ამბიციური მიზნების მისაღწევად, რომლებიც დასახულია ეროვნული კონცეფციის მედიასთან დაკავშირებულ კომპონენტში. კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, ხოლო დანარჩენი მედია სივრცე ეყრდნობა სამართლებრივ კოდექსს, რომელიც არ ხორციელდება. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საბაზრო წილს (საერთაშორისო გამჭვირვალობის<sup>58</sup> მიხედვით, დაახლოებით რვა პროცენტი), დავინახავთ, რომ მისი მოქმედების არეალი შეზღუდულია.

იმის დასადასტურებლად, რომ ხდება სათანადო ზომების მიღება, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ეროვნული უმცირესობების საბჭომ (CNM) - საკონსულტაციო ორგანომ, რომელიც ფუნქციონირებს სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერით, შექმნა სამუშაო ჯგუფი მედიისა და ინფორმაციის საკითხებთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფი მეთვალყურეობას უწევს სამოქმედო გეგმის განხორციელებას და იმას, თუ როგორ ხდება

საინფორმაციო საშუალებების მიერ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, რის შედეგადაც ის გასცემს რეკომენდაციებს. რეკომენდაციები ითვალისწინებს ინფორმაციის შელწევას იმ რეგიონებში, სადაც უმცირესობები ცხოვრობენ და ხელს უწყობს არატოლერანტობის აღმოფხვრას მედიაში.

## V. მედიის მდგომარეობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

ეროვნული უმცირესობების მიერ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით ძირითად პრობლემას წარმოადგენს უმცირესობების მიერ ქართული ენის ცუდად ცოდნა. 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით გამოვლინდა, რომ მთლიანად ეროვნული უმცირესობების მხოლოდ 31% ფლობს ქართულ ენას თავისუფლად. უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად კი<sup>59</sup> - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში სომხების 32.2%-ს და აზერბაიჯანელების 27.7%-ს საერთოდ არ ესმის ქართული ენა. ქართულად თავისუფლად ლაპარაკობს სომხების 8.4% და აზერბაიჯანელების 9.8%. მიუხედავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არაერთი მცდელობისა აქმაღლებინა სახელმწიფო ენის ცოდნის დონე უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს და ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ჯერ კიდევ არა აქვთ შესაბამისი პირობები ქართული ენის შესასწავლად. ერთი მხრივ, მედია საჭიროებს რესურსებს ინფორმაციის ეფექტურად გადასაცემად, ამავე დროს კი,

წლის 5 იანვრით, ხოლო ახალი ამბები რუსულ და ქართულ ენებზე შესაბამისად განახლებულია 2010 წლის 16 და 24 ივნისს.

<sup>57</sup> FCNM-ის საკონსულტაციო კომიტეტი, „დასკვნა საქართველოზე“, 19 მარტი 2009, 47, [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3\\_FCNM\\_docs/PDF\\_1st\\_OP\\_Georgia\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNM_docs/PDF_1st_OP_Georgia_en.pdf).

<sup>58</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა, „ტელევიზია საქართველოში - მფლობელობა, კონტროლი და რეგულირება“, 2009, 5 <http://transparency.ge/sites/default/files/Media%20Ownership%20November%202009%20Eng.pdf>

<sup>59</sup> უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი (ECMI), უმცირესობების/უმცირესობის დამოკიდებულება დემოკრატიული პროცესების მიმართ საქართველოში, რაოდენობრივი გამოკვლევა, მაისი 2008. გამოკითხვაში მონაწილეობდა 1699 უმცირესობის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რვა რაიონიდან.



უმცირესობათა დიდი ნაწილი გარიყულია ქართული საზოგადოებისგან.

პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირე. ამის გაუთვალისწინებლად კი ხსენებული პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. რაც შეეხება მედიას, რეკლამებით დაფინანსებული დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების არსებობის შესაძლებლობა მეტად მცირეა - როგორც ერთმა რესპონდენტმა ინტერვიუში განაცხადა: „შეუძლებელია საინფორმაციო საშუალებების უდაბნოში ამუშაება“.<sup>60</sup> ამის ნაცვლად, საინფორმაციო გამოშვებები ხანდახან არჩევენ, დაფინანსება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან მიიღონ; სულ ერთია, იქნება ეს ადგილობრივ გამგებასთან მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გადაცემის თაობაზე დადებული კონტრაქტის საფუძველზე, თუ უბრალოდ თავის გადასარჩენად გაცემული გრანტი, რასაც შეუძლია თვით-ცენზურამდე მიიყვანოს აღნიშნული გამოშვება. ფინანსური გაჭირვება აისახება კარგი განათლების მქონე ახალგაზრდებზეც, მათ შორის, მომავალ ჟურნალისტებზეც, რომლებიც არჩევენ საცხოვრებლად ქალაქებში გადასვლას, ან მიემგზავრებიან საზღვარგარეთ ახალი შესაძლებლობების საძიებლად. მათთვისაც კი, ვინც რჩება და სწავლობს ქართულ ენას, ცუდად განვითარებული ინფრასტრუქტურის გამო, ხშირად ინფორმაციის ძირითადი ნაკადი შეიძლება მიუწვდომელი იყოს. ქვემოთ განხილულია საინფორმაციო საშუალებების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, სადაც სახელმწიფო ენის ცოდნა დაბალ დონეზე რჩება, ჭარბობს ეროვნული უმცირესობების რაოდენობა და გადასაღალხია ბევრი ზემოხსენებული დაბრკოლება.

საინფორმაციო საშუალებების განვითარების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია ინტერნიუსის წარმომადგენელთა აზრით, რომელიც მთელი დატვირთვით მუშაობდა ორივე რეგიონში, ბევრი ადგილობრივი სატელევიზიო არხი ვერ

ფუნქციონირებს ცუდი მენეჯმენტის გამო. ერთი მხრივ, დიდი წინააღმდეგობა არ არის გადასაღალხი, მაგალითად, ორენოვანი პროგრამების შესაქმნელად, მაგრამ, მეორე მხრივ, არ ხდება საკმარისი ძალისხმევით მიმართვა ისეთი აქტუალური მასალის შესაქმნელად, რომელსაც უფრო დიდი აუდიტორიის მოზიდვა შეუძლია. ზოგიერთ შემთხვევაში არ ხდება, გამოყოფილი ბიუჯეტიდან ხელფასების გადახდა და დაფინანსების შეწყვეტისთანავე ხდება ახალი ინიციატივების წამოწყება. მიუხედავად ყოველივე ამისა, რეგიონები მაინც გვიტოვებენ იმედს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მაცხოვრებლები მაინც იკრიბებიან ტელევიზორებთან ადგილობრივი ახალი ამბების მოსასმენად, მიუხედავად გადაცემების სასურველზე საკმაოდ დაბალი ხარისხისა.<sup>61</sup>

### სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი მჭიდროდ არის დასახლებული ეთნიკური სომხებით და დაყოფილია ექვს რაიონად შემდეგი დემოგრაფიული სურათით.<sup>62</sup>

<sup>60</sup> ინტერვიუ ბექა ბაჯელიძესთან, კავკასიის ოპერაციების დირექტორი, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი, 19 ოქტომბერი, 2010.

<sup>61</sup> ინტერვიუ თამუნა კაკულიასთან, განვითარების დირექტორი, Internews Georgia, 21 აპრილი, 2011.

<sup>62</sup> 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2002.



ცხრილი 1: სამცხე-ჯავახეთი

მოსახლეობა						
	სულ	ქართველები	სომხები	რუსები	ოსები	სხვები
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>	<b>207,598</b>	<b>89,995</b>	<b>113,347</b>	<b>2,230</b>	<b>822</b>	<b>1204</b>
ადიგენი	20,752	19,860	698	101	28	65
ასპინძა	13,010	10,671	2,273	34	9	23
ახალქალაქი	60,975	3,214	57,516	157	10	78
ახალციხე	46,134	28,473	16,879	410	52	320
ბორჯომი	32,422	27,301	3,124	585	719	693
ნინოწმინდა	34,305	476	32,857	943	4	25

ჯავახეთის, ანუ ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების მოსახლეობის 95% სომხები არიან. ბოლო დრომდე, ამ სასაზღვრო რეგიონში ზოგადი სიტუაცია, ფაქტობრივად, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან იზოლირებული იყო. იმის გამო, რომ ცენტრალური მთავრობა დიდ ყურადღებას არ უთმობდა ამ რეგიონს, ადგილობრივი ბიუროკრატებს შორის განვითარდა კორუფცია.<sup>63</sup> იზოლაციაში ყოფნისა და ქართული ენის ცუდად ცოდნის გამო ადგილობრივი მოსახლეობა უფრო სომხურ და რუსულ საინფორმაციო საშუალებებს მიმართავდა, ვიდრე ქართულს. ეს ნათლად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც ადგილობრივები თანამგზავრის მეშვეობით ახალ ამბებს ეცნობოდნენ რუსული არხებიდან და არა კონფლიქტის მეორე - „თავიანთი მხრიდან“.

ბევრი ადამიანი ინტერვიუში აღნიშნა, რომ ჯავახეთში ადგილობრივი მედიის განვითარებას ხელს უშლის ამ რეგიონის კარნაკეტილობა და მისი მაცხოვრებლების მჭიდრო ურთიერთკავშირი. მეგობრობა და ოჯახური კავშირები,


უკმაყოფილებისა და გაუცხოების წარმოქმნის შიში უფრო ძლიერია, ვიდრე საგამოძიებო ჟურნალიზმი. ამავედროულად, სუსტია რწმენა ცენტრალური მედიისადმი იმის გამო, რომ ისტორიულად ის კონცენტრირებული იყო მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე.<sup>64</sup>

<sup>64</sup> ამგვარი უნდობლობის წარმოქმნის მაგალითია 2011 წლის თებერვალში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ ECMI-სთან ინტერვიუში მოთხრობილი ამბავი 2007 წელს ახალქალაქში ჩატარებულ მიტინგზე. მიტინგის რეალური იხეზი იყო სოლიდარობის გამოხატვა სტამბულში ამერიკელი-თურქი ჟურნალისტის პრანტ დინკის მკვლელობის გამო, რაც ჟურნალისტებმა მონათლეს როგორც პროტესტი სრულიად შეუსაბამო მოვლენის გამო. ჩვენ ვერ შევძელით დაგვემტკიცებინა, რომ, ფაქტობრივად, ცენტრალურმა მედიამ შესტად ასეთი რეპორტაჟი გადასცა, ხოლო ანკედოტური ფაქტებიდან ჩანს, რომ ძალზე მცირეა ნდობა ცენტრალური მედიის გადაცემების და მათი რეპორტაჟების მიმართ უმცირესობათა რეგიონებზე.

<sup>63</sup> სალდაძე მალხაზი და გიორგი შუბითიძე; “საქართველოს რეგიონული მედიის რუკა”, CIPDD, 2005, 14, [http://www.cipdd.org/files/7\\_26\\_612532\\_RegionalMedia MapofGeorgiatext.pdf](http://www.cipdd.org/files/7_26_612532_RegionalMedia MapofGeorgiatext.pdf).



სატელევიზიო არხები, რომლებსაც ეთნიკური სომხები უყურებენ<sup>65</sup>



<sup>65</sup> უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი (ECMI), უმრავლესობის/უმცირესობის დამოკიდებულება დემოკრატიული პროცესების მიმართ საქართველოში, რაოდენობრივი კვლევა, მაისი 2008.



სიტუაცია საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებით იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელი ეთნიკური წარმომავლობის ხალხი ჭარბობს კონკრეტულ რეგიონში. ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში მოსახლეობა სარგებლობს სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებით. ჯავახეთში, სომხებით დასახლებულ რეგიონში, ორი სატელევიზიო სადგური ფუნქციონირებს ერთი – ახალქალაქში, ერთი – ნინოწმინდაში, ასევე, ერთი სადგურია ბორჯომში. ბორჯომის ტელევიზიას აქვს საკუთარი ლიცენზია, ნინოწმინდის სადგურს *ფარვანას* და ახალქალაქის სადგურს *აბჰ-12*-ს აქვთ ქვე-ლიცენზია სატელევიზიო სადგურებთან *იმპერია* (მე-9 არხი) და *სპექტრი* შესაბამისად. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ უკანასკნელ ტელესადგურებს შეუძლიათ შეაჩერონ წინა ორი ტელესადგურის მაუწყებლობა, თუ უთანხმოების საფუძველზე ამის გადაწყვეტილებას მიიღებს ტელევიზიის ხელმძღვანელობა. ამავე ხელმძღვანელობას შეუძლია დასვას საკითხი ქველიცენზიით მოქმედი ტელესადგურების თვით-ცენზურაზე შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით.

ჯავახეთის ადგილობრივი ტელემაუწყებლობის ენა არის სომხური, როგორც ადგილობრივი პროგრამების, ისე სომხეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველი არხისა, ხოლო დროებით ინტერვალებში რუსულ ენაზე მაუწყებლობს *რევიონ ტვ*. ეს არხები ასევე იღებენ გრანტებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისგან იმისათვის, რომ მიიღონ და გადასცენ *პირველი არხის* ახალი ამბების პროგრამა მოამბე სომხურ ენაზე და ჩაურთონ ადგილობრივი ჟურნალისტების მიერ მოცემულ რეგიონში მომზადებული ყოველდღიური ახალი ამბების ბიულეტენი. ჩვეულებრივ, ადგილობრივი სატელევიზიო სადგურები დაფინანსებას იღებენ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და საერთაშორისო დონორებისგან, მაგრამ რესურსები მაინც შეზღუდულია და აქედან გამომდინარე პროდუქციის ხარისხი საკმაოდ დაბალია.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბევრმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაუწია დახმარება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, ეს ყოველთვის არ კეთდებოდა ქართულთან

ერთად სომხურ ენაზე. ამასთან, ჟურნალისტებისათვის გამართულ ტრენინგებს არა აქვს რეგულარული ხასიათი.

2006 წელს ნინოწმინდაში ქართული მედიის განვითარების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის სტუდია რეს და ბრიტანეთის საგარეო უწყების, ბი-ბი-სი მსოფლიო სამსახურის (BBC World Service) – მხარდაჭერით ამუშავდა საზოგადოებრივი რადიოსადგური. მისი ამოქმედების მიზანი იყო ის, რომ საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებს თავად მიეღოთ მონაწილეობა საინტერესო შინაარსის პროგრამების შექმნაში. ამასთან, ეს პროგრამები ეთერში უნდა გასულიყო როგორც ქართულ და რუსულ, ისე სომხურ ენებზე. თავდაპირველად ნებადართული იყო რეპროდუქტორის დადგმა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, მაგრამ საბოლოოდ რადიოსადგური დაიხურა, ვინაიდან ის არ ფლობდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემულ საჭირო ლიცენზიას. *სტუდია რეს*, რომელიც მოქმედებდა, როგორც განმცხადებელი, ლიცენზიის მისაღებად (ლიცენზია უნდა გაცემულიყო როგორც ნინოწმინდის, ისე მარნეულის რადიოსადგურებისათვის, რომელიც იმავე პროექტის ნაწილს წარმოადგენდა), სამჯერ მიიღო უარის წერილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან. თავდაპირველად აღნიშნულმა კომისიამ განაცხადა, რომ საჭირო იყო არსებული სიხშირეების ინვენტარიზაცია და ამ პროცესის დასრულებამდე ახალი სიხშირეების გაცემა არ მოხდებოდა. მეორე წერილში აღნიშნული იყო, რომ საჭირო იყო საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა, რაც კანონის თანახმად ორ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, და გადაწყვეტილება მიღებული ყოფილიყო საბოლოო შედეგების საფუძველზე. დაბოლოს, მესამე წერილში კომისია აცხადებდა, რომ მის ვებ-გვერდზე გამოცხადდებოდა კონკურსი ლიცენზიების მისაღებად, თუმცა არანაირი ცნობა კონკურსის თაობაზე არ ყოფილა გამოქვეყნებული და საბოლოოდ პროექტი დასრულდა.<sup>66</sup>

<sup>66</sup> ინტერვიუ ზვიად ქორიძესთან, თავისუფალი ჟურნალისტი, 18 მარტი 2011.



ერთი პოზიტიური მაგალითი ბუჭღურ მედიასთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთში არის გაზეთი *სამხრეთის კარიბჭე*, რომელმაც გამოსვლა დაიწყო 2005 წელს ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) მხარდაჭერით. 2005-2007 წლების დასაწყისში დატრიალებული ქაოსის შემდეგ, ეს ყოველკვირეული გამოცემა ახლა რეგულარულად გამოდის და ადგილობრივი წარმოების ერთადერთი სომხურენოვანი გაზეთია, რომელიც მუდმივად ახელმისაწვდომი რეგიონში. ორი გამოცემა, ერთი ქართულ და ერთი სომხურ ენებზე, რომლებშიც ერთიდაიგივე სტატიებია, ვრცელდება დაახლოებით 2000-3000-იანი ტირაჟით ახალქალაქში. *სამხრეთის კარიბჭეში* ყურადღება მახვილდება რეგიონულ ამბებზე და დაბალანსებულად და მიუკერძოებლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სიუჟეტები. ძირითადი სარედაქციო ოფისი, რომელშიც ექვსი ჟურნალისტი მუშაობს, მდებარეობს ახალციხეში. აქედან სამი ჟურნალისტი მუშაობს სომხურ გამოცემაზე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და რეგიონული მედიის თანამშრომლებს შორის ჩვეულებრივ კარგი დამოკიდებულება არსებობს: ეს უკანასკნელი არ განიცდიან არც ზეწოლას და არც ცენზურის ზეგავლენას. რეგიონული ტელევიზიის ზოგიერთმა თანამშრომელმა კარგი შეფასებაც კი მისცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მათი თანამშრომლობისათვის. თუმცა, საკითხავია, ეხება თუ არა რეალურად მედია მათთვის მტკივნეულ საკითხებს. ერთმა რესპონდენტმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ჟურნალისტები თავს არიდებენ პოლიტიკური პრობლემების გაშუქებას.

### ქვემო ქართლი

ქვემო ქართლში საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებით მდგომარეობა ისეთივეა, როგორც სამცხე-ჯავახეთში. ეთნიკურად ეს რეგიონი უფრო მრავალფეროვანია. აზერბაიჯანელები აქ მთელი მოსახლეობის ნახევარზე ცოტა ნაკლებია, ამასთან, აქ ბევრია სომხებით დასახლებული მნიშვნელოვანი ადგილები, განსაკუთრებით, მარნეულსა და წალკაში.

აქვე ცხოვრობენ ბერძნებიც, თუმცა მათი რაოდენობა შემცირებულია.

ქვემო ქართლში ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში და ზოგადად ქართულ მედიაში, ჟურნალისტები ჩვეულებრივ თავს არიდებენ პოტენციურად მტკივნეული საკითხების გაშუქებას. ადგილობრივ მედიას ტაბუ აქვს დადებული ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებზე და მათ იშვიათად ეხება. 2008 წლის აგვისტოს ომმა და იმავე წელს განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა საქართველოს მედია-სივრცეზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. შეჩერდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ბევრი პროექტი, რის შედეგადაც გართულდა ინფორმაციის მიღება უმცირესობების ენებზე. ამის გამო ზოგიერთი საინფორმაციო გამოცემა, მაგალითად, ბოლნისში დამოკიდებული გახდა ადგილობრივ მმართველობის ორგანოებზე.<sup>67</sup> რაც შეეხება ნდობას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან და ზეგავლენას მასალების მომზადების დროს, ეს საინფორმაციო საშუალებები შორს არის იდეალურიდან: *ბოლნისის ტელევიზია*, რომელიც ნაწილობრივ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, ასევე არღვევს მაუწყებლობის შესახებ კანონს. ამის გამო გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აზერბაიჯანული საზოგადოება, ძირითადად, სარგებლობს სატელევიზიო არხების მაუწყებლობით აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან, ხოლო ქართველები კი ინფორმაციას ძირითადი ეროვნული არხებიდან იღებენ.

<sup>67</sup> ვიქტორიე მარიკა; „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე ქვემო ქართლში“, 12 მარტი 2009. [Kvemokartli.ge](http://www.kvemokartli.ge). <http://www.kvemokartli.ge/eng/articles.php?id=67>.



ცხრილი 2: ქვემო ქართლის რეგიონი

მოსახლეობა						
	სულ	ქართველები	აზერბაიჯანელები	სომხები	ბერძნები	სხვ.
<b>ქვემო-ქართლი</b>	<b>497,530</b>	<b>222,450</b>	<b>224,606</b>	<b>31,777</b>	<b>7,415</b>	<b>11,282</b>
რუსთავი	116,384	102,151	4,993	2,809	257	6,174
ბოლნისი	74,301	19,926	49,026	4,316	438	595
დმანისი	28,034	8,759	18,716	147	218	194
მარნეული	118,221	9,503	98,245	9,329	396	748
თეთრიწყარო	25,354	18,769	1,641	2,632	1,218	1,031
წალკა	20,888	2,510	1,992	11,484	4,589	313
გარდაბანი	114,348	60,832	49,993	1,060	236	2,227

ქვემო ქართლში არის ოთხი რეგიონული სატელევიზიო არხი: ორი – ბოლნისში, ერთი – მარნეულში და ერთიც – რუსთავში. 2006-2009 წლებში ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარიატმა (OSCE HCNM) დააფინანსა პროგრამა, რომელიც გულისხმობდა ქართული ახალი ამბების პროგრამების აზერბაიჯანულ ენაზე სინქრონულ თარგმანს, როგორც ეს განხორციელდა ჯავახეთში 2003-2008 წლებში.<sup>68</sup> ისევე, როგორც მისი წინამორბედი, ეს პროგრამაც შექერდა მაშინვე, როგორც კი ეუთომ შეწყვიტა მისი დაფინანსება მიუხედავად იმისა, რომ, გადმოცემით, ამ სატელევიზიო სადგურის რეიტინგი ჩვეულებრივზე მაღალი იყო. ბოლნისში არსებული ბოლნისის ტელევიზია ამ დროისათვის გეგმავს ახალი პროექტის დაწყებას, რომელსაც აფინანსებს ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI) და რომელიც ითვალისწინებს ახალი ამბების

აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნას. მარნეულის ტელევიზია, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებით ყოველდღიურად გადასცემს ახალი ამბების პროგრამას აზერბაიჯანულ ენაზე. ეს არის პროგრამა მოამბის დამატება აზერბაიჯანულ ენაზე, რომელიც საუკეთესო საეთერო დროს გადაიცემა.

2007 წელს BBC-დან მიღებული გრანტებითა და ქართული მედიის განვითარების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია სტუდია რესთან თანამშრომლობით მარნეულში ისევე, როგორც ჯავახეთში, ამუშავდა საზოგადოებრივი რადიოსადგური. მისი სამენოვანი პროგრამები ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე რეპროდუქტორებით გადაიცემოდა ქალაქის ცენტრალურ პარკსა და კაფეში. თუმცა, ისევე როგორც ჯავახეთში, რადიოსადგურს აქაც არ მიეცა ლიცენზია, რის გამოც ის FM სისწირებს ვერ იყენებდა. საბოლოოდ, ყველა პროგრამამ შეწყვიტა ფუნქციონირება.

<sup>68</sup> ჯავახეთის პროექტი ასევე შეიცავდა მედიის განვითარების კომპონენტს, რაც ნიშნავდა, რომ ახალი ამბების სინქრონული თარგმანი 2003 წელსვე არ დაწყებულა.






ძნელია, შეაფასო ბეჭდური მედია ქვემო ქართლში, რეგიონში, სადაც ცოტაა რეგულარულად გამოცემული გაზეთების რაოდენობა; იმისდა მიხედვით, თუ როგორია ფინანსური მდგომარეობა, უკეთეს შემთხვევაში გაზეთები გამოდის თვეში ერთხელ, რაც ჩვეულებრივ დამოკიდებულია ადგილობრივ გამგეობაზე ან აზერბაიჯანიდან ფულად შემოწირულობებზე, რათა თავი გაიტანონ. პუბლიკაციები აზერბაიჯანულ ენაზე აქ, თითქმის, არ შემოდის. გარდა სახელმწიფო დაფინანსების ქვეშ არსებული გაზეთ *გურჯისტანისა*, გამოკითხულთა უმრავლესობა ვერ ასახელებს საქართველოში აზერბაიჯანულ ენაზე რეგულარულად გამოცემულ გაზეთებს. თვეში სამჯერ აზერბაიჯანულ ენაზე 2 000-იანი ტირაჟით გამოდის გაზეთი *რეგიონული პრესა*, რომლის რედაქციაც მარნეულში მდებარეობს. გაზეთი არის ნაწილი აზერბაიჯანის კულტურის ცენტრისა (AMM), რომელიც მუშაობს ეთნიკური აზერბაიჯანელების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხებზე, იღებს მხარდაჭერას ჰეიდარ ალიევის ფონდიდან, აზერბაიჯანის ნავთობის კომპანია სოკარიდან და დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტიდან, ასევე სხვა აზერბაიჯანული წყაროებიდან.<sup>69</sup> ორენოვანი გაზეთი ტაიმერი, რომელიც დაარსდა 2006 წელს, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) მხარდაჭერით, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე 2009 წლამდე გამოდიოდა. შემდეგ კი კვირაში ორის ნაცვლად თვეში ერთხელ გამოცემითაც ვერ იქნა თავიდან აცილებული მისი დახურვა. ამ გაზეთის ბევრი ჟურნალისტი ამჟამად მუშაობს ინტერნეტ საინფორმაციო პორტალზე *Kvemokartli.ge*, რომელიც მეტ ყურადღებას უთმობს ადგილობრივ ამბებს, თუმცა ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ და ინგლისურ ენებზე. რუსთავეაში დაფუძნებულმა ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტომ გარდა იმისა, რომ დახმარებას უწევს ტაიმერს, ასევე დააარსა ადგილობრივი ახალი ამბების სააგენტო რეგიონიდან ახალი ამბების გასავრცელებლად. ეს სააგენტოც ჩართული იყო *Kvemokartli.ge* ვებ-გვერდში.

ამასთან, რეგიონში აზერბაიჯანიდან შემოდის გაზეთები შეზღუდული რაოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხდება ინფორმაციის საზღვრის მიღმა გავრცელების ნებადართვის შესახებ დებულებების დაცვით, საქართველოში მცხოვრები ხანდაზმული აზერბაიჯანელებისათვის ხშირად ინფორმაციის ეს წყარო ხელმისაწვდომი არ არის. ამის მიზეზია ის, რომ 1998 წელს აზერბაიჯანმა სლავური ანბანი ლათინურით შეცვალა, რომელსაც ბევრი ხანშიშესული ადამიანი, უბრალოდ, ვერ კითხულობს. ასეთი ადამიანებისათვის რადიოთი ან ტელევიზიით მოსმენილ ახალ ამბებს ან ინფორმაციას სხვადასხვა მოვლენების შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს.

<sup>69</sup> იხ. <http://www.amm.ge> and <http://amm.ge/index.php?s=about>.



სატელევიზიო არხები, რომლებსაც ეთნიკური აზერბაიჯანელები უყურებენ<sup>70</sup>



გადმოცემით, ქვემო ქართლში ადგილობრივი მედიის მიერ მომზადებული ინფორმაცია დაბალი ხარისხისაა. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ასორციელებდა მედიის განვითარების პროექტებს ამ რეგიონში, აწყდებოდა სიძნელეებს აზერბაიჯანელი ჟურნალისტების შერჩევისას, ამიტომ მათ უხდებოდათ ზოგადად ნიჭიერი ადამიანების აყვანა სამსახურში და ტრენინგების მეშვეობით მათი ჟურნალისტებად ჩამოყალიბება. ზოგჯერ პრობლემას წარმოადგენდა ტრადიციული ოჯახური ღირებულებების დაძლევა, მაგრამ ამავე დროს ძლიერი იყო მოტივაცია, გაკეთებულიყო უფრო მეტი საქმე რეგიონში, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ახალგაზრდა ქალებს შეეხება.

### VI. ეროვნული უმცირესობები მედიაში

საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების წარმატებით ინტეგრაციის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ასევე უმრავლესობა-უმცირესობის ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ ხდება უმცირესობის ასახვა მედიაში, ვინაიდან ამას შეუძლია, ჩამოაყალიბოს განწყობა მათ მიმართ. გარდა ამისა, ამით აღნიშნული უმცირესობათა ჯგუფები გრძნობენ დაინტერესებას მათი ცხოვრების მიმართ, რაც ხელს უწყობს ორმხრივი ნდობის ჩამოყალიბებას და აიოლებს ინტეგრაციის პროცესს. ბოლო წლებში საქართველოში საზოგადოებრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები უკეთ შექდება. უწინ ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რაიმე უარყოფითი მოვლენა მოხდებოდა, მაგალითად, დემონსტრაციები ან სეპარატისტული დაჯგუფებების სხვა ქმედებები. დღეისათვის ეს მიმართულება შეცვალა უფრო

<sup>70</sup> 'უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი' (ECMI), უმრავლესობის/უმცირესობის დამოკიდებულება დემოკრატიული პროცესების მიმართ საქართველოში, რაოდენობრივი გამოკვლევა, მაისი 2008.



პოზიტიურმა რეპორტაჟებმა.<sup>71</sup> მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი საინფორმაციო საშუალებები იმასაც კი ცდილობენ, რომ ხელი შეუწყონ ინტეგრაციას, მაგალითად, აწვევენ რამდანის დროს პრეზიდენტის ვიზიტს ქვემო ქართლში. თუმცა, ზოგიერთი გაზეთი აგრძელებს უარყოფითი მასალების გამოქვეყნებას და სტერეოტიპების შექმნას, რაც 2009 წელს აღნიშნა ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტმა.<sup>72</sup> საერთაშორისო კრიზისების ჯგუფს (ICG) თავის 2011 წლის ანგარიშში მოჰყავს მაგალითები გაზეთებიდან და პარალელებს ავლებს სეპარატისტულ რეგიონებსა და ჯავახეთსა და ქვემო ქართლს შორის.<sup>73</sup> ბოლო დროის ანგარიშებშიც ასევე აღნიშნულია, რომ ქართულ მედიაში ჭარბობს ანალოგიური სტერეოტიპები და ის ნაკლებად არის განწყობილი იმისაკენ, რომ გამოაქვეყნოს გამაღიზიანებელი მასალები. ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული. ამგვარად, ეროვნული უმცირესობების შესახებ გამოქვეყნებული მასალები არ არის ხარისხობრივად მაღალი დონის და, ვინაიდან საინფორმაციო საშუალებებში აღნიშნული რეგიონები ზოგადად მცირედ არის წარმოდგენილი, მასალები მათზე რაოდენობრივადაც მცირეა. ქართული მედია ისევ და ისევ ყურადღების გარეშე ტოვებს უმცირესობათა ყოველდღიურ ცხოვრებას და უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფო სამუშაო

პროექტებთან, საზღვრების გახსნასთან თუ საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებულ თემებს.

ზოგადად, მედიის მონიტორინგის და ეროვნული უმცირესობების მედიაში ასახვის შემსწავლელი პროექტები მეტად იშვიათია. 2007 წელს განხორციელებულმა კვლევამ *საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა და რუსთავი 2-ის* ახალი ამბების პროგრამებთან, შესაბამისად, მოამბესთან და კურიერთან დაკავშირებით, აჩვენა, რომ ეროვნული უმცირესობების შესახებ ახალ ამბებში გადმოცემული ინფორმაცია ძირითადად ეხებოდა აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტებს.<sup>74</sup>

ახალი ამბების გამოშვება	სულ	რეპორტაჟები კონფლიქტის რეგიონებიდან	რეპორტაჟები უმცირესობათა საკითხებზე
‘მოამბე’	234 (100%)	166 (71%)	68 (29%)
‘კურიერი’	206 (100%)	161 (78%)	45 (22%)

ახალ ამბებში გადმოცემულ იმ თემებს შორის, რომლებიც ეხება უმცირესობათა საკითხებს და არა კონფლიქტის რეგიონებს, 29.2% ეხება ზოგადად უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო, 70.8% უმცირესობათა კონკრეტულ ჯგუფებს, რაც ასე გამოიყურება:

<sup>71</sup> ინტერვიუ ეკა მეტრეველთან; მეცნიერ-მუშაიკი, GFSIS, 10 მარტი 2011

<sup>72</sup> ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტი, დასკვნა საქართველოზე, 19 მარტი, 2009, 23.

<sup>73</sup> ბრიფინგზე ნახსენები რუბრიკა დაიბეჭდა გაზეთ *საქართველოს რესპუბლიკის* 2010 წლის სექტემბრის გამოშვებაში და მასში ნათქვამია: „ჯავახეთი და ბორჩალო (ქვემო ქართლის რეგიონის ძველი ქართული სახელი) გაიზიარებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედს“; იხ. „საქართველო: ჯავახეთის რეგიონის ინტეგრაციის პრობლემები“, საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი, 9-10,

<http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/B63%20Georgia%20The%20Javakheti%20Regions%20Integration%20Challenges.ashx>.


<sup>74</sup> მამეშვილი თამარი, „საქართველოს მედიაში გაშუქებული უმცირესობათა საკითხები“, საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი, სადისერტაციო ნაშრომი.



სომხები	19.5 %
ახერბაიჯანელები	14.2 %
ოსები	12.4 %
ებრაელები	6.2 %
მესხები	6.2 %
აფხაზები	4.4 %
ჩენნები	3.5 %
რუსები	3.5 %

ქვემოთ მოცემულია ზოგადად ახალი ამბების რეპორტაჟების სქემა.<sup>75</sup> შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ინფორმაციის უდიდესი ნაწილი გადაიცემოდა ახალი ამბების ფორმატით, ღრმა ანალიზისა და უმცირესობათა წარმომადგენლებთან ინტერვიუების გარეშე. ამას გარდა, რეპორტაჟების უმეტესობაში არ იყო მოცემული კონკრეტული ამბების წინაისტორია ან კონტექსტი. ის ფაქტი, რომ სქემაზე ერთერთ დომინირებულ კატეგორიას წარმოადგენს კულტურასთან დაკავშირებული ამბები, დამახასიათებელია ქართული მედიისათვის - ცხადია, ჯობს უპირატესობა მიანიჭო უმცირესობათა რომელიმე დღესასწაულს, ვიდრე შეეხო პოლიტიკურად დელიკატურ საკითხებს.

ცხრილი 3: ახალი ამბების ანგარიში



<sup>75</sup> იქვე.



უარყოფითი სტერეოტიპები და დისკრიმინაციული განცხადებები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ, უმთავრესად, მოედინება, თუმცა არა მხოლოდ, ბეჭდური მედიისაგან.<sup>76</sup> როგორც ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის მედიის განვითარების ფონდის ახლად განხორციელებული მედიის მონიტორინგის პროექტის შედეგებიდან ჩანს, დისკრიმინაციული განცხადებები კეთდება საზოგადოებრივი ტელევიზიითაც. კვლევა ეხებოდა ტელევიზიებიდან *პირველ არხს, რუსთავი 2-ს, მაესტროს* და *კავკასიას*. 2010 წლის დასაწყისიდან კვლევაში ჩაერთო საზოგადოებრივი გაზეთები *24 საათი, რეზონანსი, ახალი თაობა, აღია, ასავალ--დასავალი, კვირის პალიტრა* და *ჯორჯიან თაიშის*, ასევე რეგიონული გაზეთები *სამხრეთის კარიბჭე, თავისუფალი სიტყვა* და *ბათუმელები*, და გრძელდებოდა 2010 წლის პირველი ნახევრის განაგლობაში. 2010 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე, ზოგადად, უმცირესობებთან დაკავშირებით გაშუქებული საკითხების რაოდენობა მცირე იყო: სულ – 147. თემებს შორის 126 ეხებოდა ეთნიკურ უმცირესობებს, ხოლო დანარჩენი – რელიგიურ უმცირესობებს. რაც შეეხება ხარისხს, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით მომზადებული 126 ამბიდან, 41, უმეტესობა გაზეთებიდან, მედიის განვითარების ფონდის აზრით, იყო დისკრიმინაციული ან სხვაგვარად არ შეესაბამებოდა ინფორმაციის გადაცემის საერთაშორისო სტანდარტებს. საერთაშორისო სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის მაგალითებს შორისაა საზოგადოებრივი ტელევიზიის ერთ-ერთი არხით კონტრაბანდისთან დაკავშირებული სიუჟეტის გადაცემა, რომელშიც ხაზგასმული იყო დამნაშავეის ეროვნება. იგივე ტელეარხმა დაუსაბუთებლად ბრალი დასდო ერთ-ერთ პიროვნებას და მიუთითა მისი ეროვნება მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას არ ჰქონდა დადგენილი მისი ბრალეულობა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშის ავტორთა აზრით, ამ სახის დარღვევებმა კვლევის პროცესში 35%-ით იკლო მას შემდეგ, რაც ყოველკვირეული კვლევის შედეგები ეცნობათ ჟურნალისტებს იმ მიზნით, რომ აემალლებინათ მათი ცოდნის დონე რეპორტაჟების მომზადების სტანდარტებთან დაკავშირებით.<sup>77</sup>

მედიის ბევრი ექსპერტის მტკიცებით, ზოგიერთი პროვოკაციული გაზეთის გარდა, ამგვარი ინფორმაციის გაცემა არ ხდება კორესპონდენტის წინასწარი ბოროტი განზრახვით. ხშირად კორესპონდენტი უბრალოდ ვერც კი ხვდება, რომ მისმა ნათქვამმა შეიძლება შეურაცხოს უმცირესობის წარმომადგენლები, რაც, ფაქტობრივად, წარმოადგენს როგორც ჟურნალისტური სტანდარტების, ისე კანონის დარღვევას. მედიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა საკუთარ თავზე აიღო ამ და სხვა პრობლემების მოგვარება, რისთვისაც მათ შექმნეს 'მოხალისეთა ეთიკის საბჭო, რომლის წევრებსაც არ უნდა დაერღვიათ დადგენილი სტანდარტები. სამწუხაროდ, ცენტრალური მედიის ბევრი წარმომადგენელი ჯერ კიდევ არ არის გაწვევიანებული ამ საბჭოში და ჯერჯერობით საბჭო არეგულირებს მხოლოდ იმ პროფესიონალთა საქმიანობას, რომლებიც ისედაც იცავდნენ ჟურნალისტურ სტანდარტებს. რაც შეეხება კანონმდებლობას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კანონი მაუწყებლობის შესახებ ისევე, როგორც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთიკის კოდექსი და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) ქცევის კოდექსი, იძლევა საშუალებას, შეიქმნას საჩივრების საბჭო და შიდა მონიტორინგის ერთეულები მაუწყებელთათვის. ჯერჯერობით, ფაქტობრივად, არ ხდება ამ წესების დაცვა, რაც უმცირესობებს ისევე, როგორც ფართო საზოგადოებას, არ აძლევს თავისი უკმაყოფილების გამოხატვის რეალურ შანსს.<sup>78</sup> ამ პრობლემას ასევე ხაზი გაუსვა

<sup>76</sup> იხ. ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტი, დასკვნა საქართველოზე, 19 მარტი, 2009, პარ.80-81; [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3\\_FCNM\\_docs/PDF\\_1st\\_OP\\_Georgia\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNM_docs/PDF_1st_OP_Georgia_en.pdf).

<sup>77</sup> ინტერვიუ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) წარმომადგენლებთან, 1 მარტი 2011.

<sup>78</sup> დანელია ნინო, „ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი მედია ახლად აღმოცენებულ და განვითარებად ბაზრებზე“, WAN-IFRA, 57, <http://www.wan->



ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტი და მიუთითა როგორც საჩივრების მიღების მექანიზმების გამოსწორების, ისე ამ მექანიზმების გამოყენების თაობაზე და საზოგადოებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების საჭიროებაზე.<sup>79</sup> ამ პრობლემის შესახებ ცნობილი გახდა ინტერვიუებიდან, როდესაც აღმოჩნდა, რომ მოსახლეობისათვის არ იყო ცნობილი, თუ რა ზომების მიღება შეეძლოთ მათ საინფორმაციო საშუალებებში დისკრიმინაციის მაგალითების წინააღმდეგ, ასევე არ იყო ცნობილი ზოგადად ამ სფეროში მათი უფლებების თაობაზე.

საზოგადოებრივ საინფორმაციო საშუალებებში იშვიათად ხვდება ახალი ამბები რეგიონებიდან, სამაგიეროდ, უპირატესობა ენიჭება უფრო ვრცელ გადაცემებს პრეზიდენტთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის ოფისმა 2010 წლის ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ თავის ანგარიშში მიუთითა რეპორტაჟების სიმცირეზე უმცირესობათა რეგიონებიდან და „ეროვნული უმცირესობებისათვის მნიშვნელოვან თემებზე“.<sup>80</sup> ამის ერთი ასხნა არის ის, რომ მედია ახდენს თვით-ცენზურას, რათა არავინ გაანაწყენოს და არ დაკარგოს მთავრობის კეთილგანწყობა. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საინფორმაციო გამოცემები პირობას იძლევიან, ეთერში გაუშვან ამგვარი ისტორიები, ვინაიდან ეს თემა აინტერესებს მთელი ქვეყნის მოსახლეობას. ზოგიერთ დიდ გამოცემებს ჰყავთ თავიანთი კორესპონდენტები ზოგ რეგიონში, მაგრამ, როგორც მედიის ანალიტიკოსებმა შენიშნეს, თუ რეგიონებიდან უშვებენ რეპორტაჟებს, ეს რეპორტაჟები არ არის სიღრმისეული და იშვიათად ეხება საჭირო საკითხებს. ამგვარად, ხარისხის უკმარისობა გადაცემების მომზადების დროს არ ამსუბუქებს იმ პრობლემებს, რომლებიც

აქვთ უმცირესობებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომლებსაც მათთან ერთად იზიარებს ეთნიკური ქართველი მოსახლეობა. ასევე, როგორც სახალხო დამცველის ოფისი აღნიშნავს, შეზღუდულია უმცირესობების მონაწილეობა დისკუსიებში ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ არ ეხებათ.<sup>81</sup> ამის შედეგად საზოგადოებას შეიძლება ჩამოუყალიბდეს აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ უმცირესობების ცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა, ან უმცირესობების ერთი ნაწილისათვის საინტერესო აღარ არის ქართული საზოგადოების წევრად ყოფნა, ანდა რომელიმე უმცირესობა გამოეყო ქართულ საზოგადოებას. უმცირესობათა მხრიდან შეიძლება შესუსტდეს ინტეგრაციის სურვილი. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა ჩვენი ეზო მოხდეს უმცირესობათა წარმომადგენლებთან თანამშრომლობით: ეს იძლევა უმცირესობების გაძლიერებისა და საკუთარი შესაძლებლობების სათანადოდ წარმოდგენის საშუალებას.

## VII. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ მედიასთან დაკავშირებით თანდათან იხვეწება კანონმდებლობა და ჩნდება ახალი ინიციატივები, რომლებიც შუქს ფენს უმცირესობათა პრობლემებს მედიასთან და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, საქართველო ნელა მიიწევს წინ ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობების ძირითადი უფლებების დაცვის საქმეში. დაბალანსებული ინფორმაციის და პროფესიულად მომზადებული რეპორტაჟების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ეთნიკურ ქართველებს ხშირად ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორც უმცირესობებს. პრობლემის არსში ჩასაწვდომად ჯერ ეს ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ ნათელია, რომ უმცირესობების წინაშე დგას დამატებითი პრობლემები, რომელთა გამოსწორებასაც მთავრობა არ ცდილობს მიუხედავად იმ დიდი სურვილისა, რომელიც ასახული და ხელმოწერით დადასტურებულია პროგრამულ დოკუმენტებში. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორცაა, საზოგადოებრივი

[ifra.org/system/files/field\\_article\\_file/Financial%20Viability%20Report%20WAN-IFRA.pdf](http://ifra.org/system/files/field_article_file/Financial%20Viability%20Report%20WAN-IFRA.pdf).

<sup>79</sup> ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) საკონსულტაციო კომიტეტი, დასკვნა საქართველოზე, 19 მარტი, 2009, 23-24, [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3\\_FCNM\\_docs/PDF\\_1st\\_OP\\_Georgia\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNM_docs/PDF_1st_OP_Georgia_en.pdf).

<sup>80</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში – 2010“, 2011, 329-30,

<sup>81</sup> იქვე.



მაუწყებლის გავრცელების არეალის რეაბილიტაცია, ადვილი შესაძლებელია პროგრამულ დოკუმენტში კონკრეტული გადაწყვეტილების მოძიება, მაგრამ არ ხდება მათი სწორად განხორციელება. სხვა შემთხვევებში, როგორცაა ბეჭდური მედიის მხარდაჭერა, მთავრობის მიერ მიღებული ზომები მოწყვეტილია რეალობას იმ რეგიონებში, რომლებიც კომპაქტურადაა დასახლებული უმცირესობებით.

უმცირესობებთან მიმართებაში მედიის ამჟამინდელ მდგომარეობის დაკვირვებით შესწავლისას გამოიკვეთება ოთხი სფერო, რომლებიც შედარებით მეტ ყურადღებას საჭიროებს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დეფიციტი; ახალი საინფორმაციო გამოშვებების ლიცენზირება; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფარვის გეოგრაფიული არეალი; და ჟურნალისტური პროფესიონალიზმი და ეთიკური სტანდარტები.

ქართული მედიის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არ ხდება ინფორმაციის გადაცემა საქმის გამოძიების თაობაზე და არასაკმარისად შეუქდება ახალი ამბები რეგიონებიდან, ხდება ჟურნალისტური მეთოდების იგნორირება იმ მიზნით, რომ ნაწყენი არავინ დარჩეს. მედია-სივრცე პოლარიზებულია, რამაც ქართველები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ძალებით შეაკოწიწონ ინფორმაცია, აქცია საინფორმაციო საშუალებების აქტიურ მომხმარებლად. ენობრივი ბარიერის გამო იგივეს ვერ აკეთებენ ეროვნული უმცირესობები და უმცირესობების ენაზე პროგრამების არ არსებობა მათთვის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის უცხოურ გადაცემებს. ამჟამად მცირე ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი არიან ის მოქმედი პირები, რომლებიც ცდილობენ ხარვეზის გამოსწორებას. ეს უკანასკნელი ცდილობს გაამართლოს მისი, როგორც საზოგადოების სამსახურში მყოფი ორგანოს მანდატი და გადასცემს ახალ ამბებს უმცირესობათა ენებზე. იმისათვის, რომ უკეთ მორგებოდა მაყურებლის საჭიროებას, ახალი ამბების მაუწყებლებმა გადახედეს თავიანთ უწინდელ გრაფიკს, რითაც მთავრობამ აჩვენა თავისი მზადყოფნა რეფორმების განხორციელებასთან მიმართებაში. ადგილობრივ მოვლენებთან

დაკავშირებით ახალი ამბების დამატება ემსახურება უმცირესობათა ინტერესებს, ამასთან შეუძლია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს არსებულ სიტუაციაზე, ამიტომ მისი მონიტორინგი დიდი გულისყურით უნდა განხორციელდეს. თუმცა ახალი ამბების ადგილობრივი სატელევიზიო სადგურებისათვის მიწოდების ამჟამინდელი თანამიმდევრობა ისეთია, რომ ზოგიერთ რეგიონს ახალი ამბები უმცირესობათა ენებზე საუკეთესო საეთერო დროს არ მიეწოდება.

ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებს, რომლებსაც შეუძლიათ სიტუაციის გაწონასწორება, უჭირთ საზოგადოებრივი მედიის მიერ ადგილობრივი და რეგიონული საკითხების გაშუქებისას გაჩენილი ხარვეზების გამოსწორება. რეგიონებში არსებული არასახარბიელო ფინანსური სიტუაცია და საინვესტიციო კლიმატი ამცირებს ადგილობრივი მედიისათვის საკუთარი თავის შენახვის პერსპექტივას. ამ გარემოებას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არ მოისურვა, გაეცა ახალი ლიცენზიები და ამჟამად, როგორც ჩანს, გეგმავს ლიცენზიების გაცემას მხოლოდ გასართობ პროგრამებზე, რასაც ამართლებს იმ შედეგებით, რომლებიც გამოიკვეთა მის მიერვე ჩატარებული გამოკითხვისას. საქართველოში ტელევიზია წარმოადგენს ყველაზე პოპულარულ საშუალებას ახალი ამბების გასაცნობად, მიუხედავად ამისა ის სატელევიზიო სადგურები, რომლებიც ემსახურებიან ეროვნულ უმცირესობებს, დგანან არჩევანის წინაშე: იმაუწყებლონ ლიცენზიის გარეშე ან სხვა გადაცემების ფორმატში. ეს კი ზღუდავს ამ გადაცემების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს იმ პრობლემის ნაწილს, რომლის გადაჭრასაც, სავარაუდოდ, ცდილობს საქართველოს მთავრობა. ისმება კითხვა, ვინ უნდა გადასცეს ახალი ამბები ეროვნული უმცირესობების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მაშინ, როცა რადიოსადგურებსაც კი უჭირთ ადგილობრივ გადაცემებზე ლიცენზიის მოპოვება?!

ცხადია, რომ უმცირესობის მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ზემოქმედებას ახდენს ისიც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალი არ



ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, როგორც საინფორმაციო საშუალებების ერთადერთმა წარმომადგენელმა, რომლის მოქმედების კურსიც მიმართულია უმცირესობების ინტეგრაციისაკენ და როგორც ახალი ამბების უმცირესობათა ენებზე გადაცემის ინიციატორმა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა უზრუნველყოს.

რამდენიმე კვლევამ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არიან დახატული უმცირესობები ქართულ მედიაში აჩვენა, რომ ჯერ კიდევ ჭარბობს დისკრიმინაციული მასალები. ამგვარი პრაქტიკა გრძელდება იმის გამო, რომ არ ხორციელდება ჟურნალისტური სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებული დებულებები. რადიკალური პროგრამების მქონე გაზეთები აქვეყნებენ გამაღიზიანებელ მასალებს, ხოლო მსხვილი საინფორმაციო გამოცემების თანამშრომლები მუშაობენ იმ კრიტერიუმების გარეშე, რომლითაც განისაზღვრება ჟურნალისტური სტანდარტები. ვინაიდან არსებული დებულებების განხორციელებით, ალბათ, შესაძლებელია სიტუაციის გამოსწორება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნებიან წარმოდგენილი უმცირესობები მედიაში, გაურკვეველია, აქვს თუ არა საქართველოს მთავრობას სურვილი, მოაგვაროს არსებული პრობლემა, გარდა იმისა, რომ ქაღალდზე აქვეყნებს ინფორმაციას შთამბეჭდავი

მიზნების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბუნდოვანი ქმედებები, რომელიც ეროვნული კონცეფციის ფარგლებს გარეთ რჩება, სამწუხაროდ, საპირისპიროზე მეტყველებს.

ამ პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფო კონცეფციის სამოქმედო გეგმის ბენეფიციარებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სამომავლო გეგმების შედგენაში. ვინაიდან, გარკვეულ დონეზე, ეს აქამდეც უნდა განხორციელებულიყო იმისათვის, რომ საქმიანობამ რეალური ნაყოფი გამოიღოს, მაქსიმალურად გაიზარდოს დადებითი შედეგები და უმცირესობებისათვის უზრუნველყოფილი გახდეს ინფორმაციის მისაწვდომობა, საქართველოს მთავრობამ აუცილებლად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ გონივრულად და აქტიურად ჩართოს საკუთრივ ბენეფიციარები ამ პროცესში.

**შემდგომი ინფორმაციისთვის იხილეთ:**

**EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES (ECMI)**  
Schiffbruecke 12 (Kompagnietor) D-24939 Flensburg  
☎ +49-(0)461-14 14 9-0 \* fax +49-(0)461-14 14 9-19  
\* E-Mail: [info@ecmi.de](mailto:info@ecmi.de) \* Internet: <http://www.ecmi.de>